საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფცუიღებით და ჭიარებით ბუტთის გაფანა ყვეღა უკარისიბაზე უსაძაგღესია.

სამშაბათი, 29 მარტი. 2016 წ. №57 (7949), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვნებანი

პირზე მომდგარი დუჟი ეშმაკის დასაწყისია...

პოლემიკა ③

უზნეობის გარანტი,

ანუ, უკასრავად, მაგრამ თქვენ სულ მუდამ გაბრუებული ბრძანდებით, ბატონო პრეზიდენტო?!

⑨

წერილად ქცეული რეპლიკა

ნაპლეკები

- მაგრად გეჭიროს, გიორგი!
- ოთხზე მეტი ცხრა რომაა, ქალბატონო?
- ხე რომ „გეცოდება“, ხალხი, ვანიჩკა?

④

„რასაც დაგიწერს ჭინკა კანდელაკი, ის არ უნდა წაიკითხო!“

„ევროპის სახალხო პარტიის“ პრეზიდენტის განცხადებას, რომ „ევროპის სახალხო პარტია“ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს, თუ პარლამენტის არჩევნები ჩატარდება თავისუფალი და სამართლიანი გზით, „თავისუფალი დემოკრატები“ ეხმაურებიან. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გია ცაგარეიშვილი ამბობს, რომ „ევროპის სახალხო პარტიის პოზიცია“ ახმოვანებს „ნაციონალური მოძრაობის“ დამოკიდებულებას, პოზიციას, რომელიც არ ემსახურება ქვეყნის ინტერესებს და მიზნად ისახავს ქვეყნის უკუსვლას ამ პროცესში.

„მე არ ვიცი ამ კაცის არც სახელი, არც გვარი, პუტინის ფე-ეს-ბეს კარგი გვარიანი ოფიცერივით მსჯელობდა, ეს შემიძლია გითხრათ. სადღაც მოსკოვის ჯურღმულებიდან ჩამოსული ადამიანის იერსახით, გამომეტყველებით. გასაგებია, რომ ბატონმა კანდელაკმა რაღაც მონაჩმახი დაუდო მაგიდაზე, მაგრამ, ამ ჭინკას ჭკუაზე ხომ არ უნდა იარო, როცა ასეთი პრეტენზია გაქვს და როცა ასეთი დონის პოლიტიკოსი ხარ? რასაც დაგიწერს ნაციონალი ჭინკა კანდელაკი, ის უნდა წაიკითხო? მე ვფიქრობ, არ უნდა წაიკითხო“, – განაცხადა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ისე ნახატია, სიზმრის მევონება...

ლურჯა ⑦ ცხენებიდან – აბსტრაქციამდე

გვიყვარდეს უნივერსიტეტი საკუთარ თავში და არა საკუთარი თავი უნივერსიტეტში

⑤

⑥

გოგირდის აბანოებს ნუ ვეხუმრებით!

პრობლემები და კონფლიქტი მას შემდეგ წარმოიშვა, რაც „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ აქციების ნაწილი „საქართველოს ბანკმა“ შეიძინა და კომპანიის მართვა მთლიანად ჩაიბარა.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!

◎ მთავრობა აკანონებს

ახალი შესაძლებლობა — სახელმწიფო ქონების ძველ მყიდველებს

მოძალაძე, რომელმაც 2010 წლის 21 ივნისამდე, ანუ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის მიღებამდე, უძრავი ქონება შეიძინა, მაგრამ ყველა პროცედურის დასრულება ვერ მოასწრო, ოფიციალურად მესაკუთრედ არ ითვლება და ქონების განკარგვას ვერ ახერხებს, სახელმწიფო შანსს მისცემს, ეს ქონება დაიკანონოს.

კერძოდ, მათ, ვისაც უძრავი ქონების შეძენის შემთხვევაში გადახდილი აქვთ საფასურის 80 პროცენტი, მიწის შემთხვევაში კი — 90 პროცენტი ან მთლიანი საფასური და ვადების დარღვევის გამო ქონების დაკანონება ვერ მოახერხეს, დავალიანების დაფარვის შემთხვევაში, აღნიშნული ქონება დაუკანონდებათ. მოკლედ ასეთი გახლავთ მთავრობის მიერ მომზადებული ორი ახალი დადგენილების შინაარსი.

ხელისუფლების განმარტებით, პირველ შემთხვევაში, როდესაც გაყიდული იყო მხოლოდ შენობა-ნაგებობა და არა მიწა, ახალი დადგენილებით, აღნიშნულ პირებს და კომპანიებს შეეძლებათ, მოითხოვონ შენობის ქვეშ არსებული მიწის მთლიანად მიკუთვნება, მიუხედავად იმისა, რა იყო ჩაწერილი საპრივატიზებო დოკუმენტაციაში.

დღეისთვის ოფიციალურად100-მდე მსგავსი შემთხვევაა აღრიცხული, თუმცა ხელისუფლებაში ვარაუდობენ, რომ დადგენილება, ჯამში, 250 ობიექტს შეეხება. ეკონომიკის მინისტრის განაცხადებით, პრივატიზების ეს ფორმა არ იქნება უფასო და, როგორც „მიკუთვნების და აღიარების შესახებ კანონშია“ ჩაწერილი, მოუწევთ გარკვეული საზღაურის გადახდა, რომელიც არის ხუთმაგი წლიური საგადასახადო ოდენობის ტოლი.

თუ სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწებზე 50 პროცენტი ან მეტი იყო გადახდილი, ხელისუფლება მყიდველს აძლევს შესაძლებლობას, თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში, დაასრულოს პრივატიზების პროცესი და მიიღოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. არის მეორე პრინციპი: იმ შემთხვევაში, თუ ეს არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, უნდა ჰქონდეთ გადახდილი 80 პროცენტი ან მეტი, რომ მყიდველმა პირდაპირ პრივატიზება შეძლოს.

არის ასევე შემთხვევები, როდესაც თანხა გადახდილია სრულად, მაგრამ ვადის გადაცილებით. როგორც ხელისუფლებაში აცხადებენ, ასეთი ქეისი ქვეყნის მასშტაბით 150-ზე მეტია და შესაძლოა 350-ს მიაღწიოს. შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილებები, ხელისუფლების გაანგარიშებით, დახლოებით 500 მესაკუთრეს ეხება.

რამდენად შეძლებენ ეს მესაკუთრეები ახალი შანსის გამოყენებას და რა თანხის მობილიზებას მოახერხებს ამ გზით სახელმწიფო, უახლოეს წელიწადში გახდება ცნობილი, როცა მესაკუთრეებს ახალი დადგენილების პირობებით სარგებლობა შეეძლებათ.

ნინო ევგენიძე

◎ პროექტი

რამდენად აქტიურად ჩაერთვებიან მოქალაქენი ნებაყოფლობით სისტემაში?

მოსალოდნელი საპენსიო რეფორმის დეტალები და წინაპირობები

ხელისუფლება საპენსიო რეფორმას აანონსებს. მთავრობა აცხადებს, რომ მომავალი წლის მეორე ნახევრიდან (სავარაუდოდ, ოქტომბრიდან) დაგროვებითი სისტემა ამოქმედდება. ეს სისტემა, წინასწარი გეგმით, იარსებებს დღევანდელი საპენსიო სისტემის პარალელურად და მასში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იქნება. ნებაყოფლობითი იქნება მომავალი პენსიონერისთვის, თუმცა არა მისი დამსაქმებლისთვის. ამ რეფორმის ფარგლებში, თუ მოქალაქე საპენსიო ფონდში ხელფასის 2 %-ის გადარიცხვას გადაწყვეტს, 2 პროცენტს მას სახელმწიფო დაუმატებს, 2 პროცენტი კი დამსაქმებლის გადასახდელი იქნება. ანუ დამსაქმებელს საპენსიო პროგრამაში მონაწილე პირის დასაქმება 2 პროცენტით ძვირი დაუჯდება.

მთავრობა ამას დამსაქმებლის მიერ დამატებითი სოციალური პასუხისმგებლობის აღებას უწოდებს და ამბობს, რომ ეს დამატებითი ტვირთი არ იქნება, თუმცა რომელი მხრიდანაც უნდა მიუდგე, ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად, ხელზე 1000-ლარიანი ხელფასის გასაწევად დამსაქმებელს აქამდე 1250 ლარი სახელფასო ფონდი უნდა ჰქონოდა, ამ შემთხვევაში კი იმავე ხელფასის გასაცემად 1280 ლარამდე დასჭირდება.

მსგავსი რეფორმების დროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ სად დაბანდდება ეს თანხები და რამდენად ეფექტურად, რადგან საპენსიო ფონდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა არის ის, რომ იმ თანხების ინვესტირება, რომლებიც სხვადასხვა ფორმულით ხვდება ხოლმე მათში, წარმატებით იქნეს ინვესტირებული. საქართველოს ხელისუფლება ელოდება, რომ ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს საინვესტიციო თანხების მობილიზებას.

საინტერესოა, რომ მოქალაქეს საკუთარ პენსიაზე ზრუნვა დღემდეც შეეძლო, ოღონდ კერძო საპენსიო დაზღვევის ფარგლებში. პირველი კერძო საპენსიო ორგანიზაცია, რომელმაც ქართულ საზოგადოებას კერძო საპენსიო დაზღვევა შესთავაზა, არის „ჯიპიაი ჰოლდინგი“. საქართველოში არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის პროდუქტს მოსახლეობას მხოლოდ რამდენიმე სადაზღვევო კომპანია სთავაზობს. 2013 წლის მონაცემებით, საქართველოში მოქმედი 14 სადაზღვევო კომპანიიდან (საქართველოს ეროვნული ბანკი) საპენსიო დაზღვევა გააჩნდა შემდეგ კომპანიებს: „ჯიპიაი ჰოლდინგი“ და „ალდაგი ბისიაი“. 2012 წლის მდგომარეობით, საქართველოში კერძო საპენსიო დაზღვევის სისტემით დაზღვეულთა რაოდენობა შეადგენდა 17 935 პირს. „ჯიპიაი ჰოლდინგის“ საპენსიო სქემაში გაწევრებულია 11 464 ადამიანი. „ალდაგი ბისიაის“ საპენსიო სქემაში დაზღვეული იყო 6 471 პირი. სქემის მონაწილეები არიან როგორც კერძო პირები, ისე ორგანიზაციის თანამშრომლები.

შესაბამისად, კერძო საპენსიო სისტემა საქართველოში ვერ დამკვიდრდა, რასაც არაერთი მიზეზი ჰქონდა, მათ შორის, საპენსიო ფონდებისადმი ნდობაც, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ვერშედგომაც და ა.შ.

შესაბამისად, თუ დაგროვებითი საპენსიო სისტემა ნებაყოფლობით საფუძველს დაემყარება, საკმაოდ ძნელი სათქმელია, რამდენად აქტიურად ჩაერთვებიან მათში მოქალაქეები, რადგან ამ ფონზე მნიშვნელოვანი განაცხადია, რომ საბაზისო პენსიის სისტემის გაუქმება არ იგეგმება, თუმცა, აქვე ხელისუფლება ამბობს, რომ პენსია ინფლაციის შესაბამისად გაიზრდება. თუ გავითვალისწინებთ ბოლო წლების ინფლაციის მაჩვენებელს, გამოდის, რომ პენსიაზე დანამატი ყოველწლიურად, დაახლოებით, 5-7 ლარის ფარგლებში იქნება.

ირინა გურული

გაეროს წარმომადგენლები ჩვენს რეფორმებს ეცნობიან

28 მარტ-2 აპრილს საქართველოს გაეროსთან აკრედიტებული მუდმივი წარმომადგენლები სტუმრობენ. დელეგაციის შემადგენლობაში არიან კოსტა-რიკის, ფიჯის, გვატემალას, ჰონდურასის, მალავის, პანამის, სიერა ლეონეს, ტანზანიის და ზამბიის მუდმივი წარმომადგენლები. ვიზიტის მიზანია საქართველოში არსებული ვითარების, მთავრობის მიერ გატარებული რეფორმებისა და ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების ადგილზე გაცნობა.

ვიზიტის ფარგლებში, მუდმივი წარმომადგენლები შეხვედრებს გამართავენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მოინახულებენ იუსტიციის სახლს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს. ელჩები ეწვევიან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მცხეთის რეგიონალურ ოფისს, ასევე მოინახულებენ წეროვანის დევნილთა დასახლებასა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე სოფელ ხურვალეთს. გაეროსთან აკრედიტებული მუდმივი წარმომადგენლები ეწვევიან ქ. ბათუმს, სადაც შეხვედრებს გამართავენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებთან.

2016 წლის 28 მარტს ელჩებმა პირველი შეხვედრა გამართეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. დიპლომატები მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა მიიღო.

სტიუარტ ტეილორი — თბილისში

„მოკავშირე ძალების ფონდის“ დირექტორი საქართველოს თავდაცვის უწყებას ეწვია. სტიუარტ ტეილორი საქართველოს თავდაცვის მინისტრს თინათინ ხიდაშელსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ-მაიორ ვახტანგ კაპანაძეს შეხვდა. შეხვედრას გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ნიკოლოზ აგლაძე და დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა მხარდაჭერის დეპარტამენტის უფროსი პაატა პატიაშვილი დაესწრნენ.

უწყების ინფორმაციით, მხარეებმა დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების მხარდაჭერის მიზნით განსახორციელებელი სამომავლო პროექტები განიხილეს. აღნიშნული პროექტები ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში შესრულდება.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებით, დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებზე მზრუნველობა ერთიანი სისტემის ფარგლებში უნდა განხორციელდეს. ამ მიზნით, გასულ კვირას მთავრობის სხდომაზე გადაწყდა, შეიქმნას „დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა მხარდაჭერის ფონდი“. ფონდის ფორმირება უკვე დაწყებულია, მმართველ საბჭოში ბრიტანელი და ამერიკელი ექსპერტები იქნებიან, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში აღნიშნულ მიმართულებებს ხელმძღვანელობენ.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● არ მომისმენია, რა თქვა გუშინ მეჭიაურმა, თუმცა, არასამთავრობოების და რესპუბლიკელების რეაქცია მის ნათქვამზე, მკარნახობს, რომ შესანიშნავი რამ უთქვამს.

● აუუუ, ატყდება ახლა ერთი ამბავი, რატომ იყიდა? პუტინის დავალებაა! გაზპრომის საცეცები ინგლისში! დღეს მე ბეკჰ ემი ვარ! რატომ ტყიბულის „მეშახტე“ არ იყიდა! . . . .

● „გრინ კარტის“ ნაცვლად, „გრინ ნარდი“ რომ გაათამაშონ, შანსები გაგვეზრდება!!!

● ხის პირადი ცხოვრების კადრები ვინ ატვირთა, გაზპრომმა?

● აბა, ვინ არის ყოჩაღი და ვინ მეტყვის, რა სარგებლობა მოაქვთ ქართველ პარლამენტარებს? ხორცს, კვერცხს და ბუნდღას რომ არ იძლევიან, ცხადია, და რაღა დარჩა?..

● მე, ვეტერანი ფორუმელი, ვემიჯნები (რა მომაკვდინებელი სიტყვაა) ფორუმელ ანი მიროტაძეს, რომელიც, თავის მხრივ, ემიჯნება თამაზ მეჭიაურს და გამიჯვნაზე მეტად ვემიჯნები უსაქმურ „ეს შენგეხებელებს“!

● ამ ქვეყნად ორი რამ მაინტერესებს: ქათამი უფრო ადრე გაჩნდა, თუ კვერცხი და რას აკეთებს „ინტერპარტიული ჯგუფი?“

● „ისრაელის დაზვერვის მინისტრი: ბელგიელები შოკოლადის ჭამას უნდა შეეშვან“.

...და საერთოდ, ევროპელები — შოკოლადისფერის ჭამას.

● ლეონიდ ჩერნოვეცკი უკვე წმინდანად შერაცხეს??? არ გამიგია... ისეთი ამბავია მის გვერდით, ხალხი სტატუსების ლაიქების რიგში სამი დღე დგას.

● მაგარი სტრანნი ენა აქვთ იტალიელებს რა...

კოლოს ზანზარონე ჰქვია და ნაცმოძრაობის წევრს — კაცი ანუ ფალოსი...

● ვანოსავით ორი გვამი მინდაო, ხო არ თქვა, ორი ხეო და ნუ წაიღეთ რაა ტვინი. ვიძინებ ახლა და ხვალიდან მაგ ხის ხსენება არ იყოს. სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

● ვანო მერაბიშვილი და მისი ოჯახობა იყვნენ პატრიოტები, სამცხე-ჯავახეთის ტყეები კალაჰარის უდაბნოს რომ დაამსგავსეს და კალოშებიდან ჯიპებზე, რომ გადასხდნენ?

ბიძო დამაქცევარია, ქართველობას გვართმევს, უცხო ხეები შემოყავს..... ერთიანი ნაციონალური მოძრაობა/United Nationale Movement

ასეა ხო, თქვენი დებილი დედა ვატირე!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვნებანი

თამაზ წივწივაძემ მოსწრებულად განსაზღვრა: „ჩვენთან, საქართველოში, ახლა პეპლაობის სეზონის დარი-ამინდი დგას“ (იხ. წლევანდელი 18 მარტის „ლიტერატურული საქართველო“).

ზუსტი დიაგნოზია!

ახალგაზრდა პოეტმა ამირან ჯანჯღლავამ კი ასეთი სტროფი შემოგვთავაზა:

...იღიმებოდნენ კაცები შორით,
და იღლიაში ამოჩრილ გაზეთს
დაჰქონდა მთელი სამყაროს ჭორი.

ასეა!

პეპლაობის სეზონში და ჭორაობის ზეობის დროჟამს ეთიკაზე საუბარი ჩვენთან, საქართველოში ნორმიდან ამოვარდნილ მატრაკვეცობას ჰგავს, ანუ წლევანდელი მარტივითაა, როცა გაზაფხულის დადგომა ღრუბლიანი დღეების ნაცრისფერმა სევდამ, კაცმა არ იცის, როდისთვის გადადო და გადაანაცვლა.

იაპონიაში საკურა აყვავდა.

საქართველოში პორნო ვიდეოჩანაწერები გადაიფურჩქნა ინტერნეტში, ჩამოინგრა ზნეობრიობა, რომელსაც აქამდისაც „ლიბერასტული თავისუფლება“ უთხრიდა ძირს, თავზე დაგვემხო ბაბილონის გოდოლი.

სიძვის ფერფლში ჩაიმარხა თბილისის კეთილშობილება, როგორც პომპეი ვულკანის ამოფრქვევის შემდეგ.

გამჟღავნდა გაუმჟღავნებელი, რომლითაც ბილწნი იმყარებდნენ ძალაუფლებას — მანქურთების ბელადები.

სლიპინა შიში შესრიალდა საზოგადოებრივ სხეულში და აკანკალდა საზოგადოებრივი აზრი მრუშობის შესაძლო გამჟღავნების გამო.

ბევრნი ყოფილან ასეთი პერსპექტივით დაბლოკილნი. სვლად გამოვიდნენ რუსთაველზე, დემონსტრაციად. პლაკატები გამოიტანეს — „ეს შენც გეხება!“ — დააშინეს საზოგადოებრიობა და თავის გასამართლებლად მთავრობას შეაწმინდეს ხელი.

ნამუსი მოიწმინდეს.

ამასობაში ბრიუსელში აფეთქება აფეთქებას მოჰყვა და სისხლიანმა ტერორმა ევროპის გულში ჩაასო თავისი ზამანი — ქვა, რომელიც ოდესღაც საზღვრის გავლებას ნიშნავდა, ტერიტორიის შემომტკიცებას.

რა დროს ეთიკაზე საუბარია!

მაგრამ არც უთქმელობა ეგების, განსაკუთრებით მაშინ, როცა ზნეობრივი ნორმა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გადის: გარდაცვლილზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს.

პოლიტოლოგმა ერთმა, რომელსაც ყველა ტელეარხი კარს უღებს როგორც სასურველ სტუმარს, „იმედის“ „ქრონიკაში“ ჩვენი საზოგადოებრიობის დამოძღვრის მორიგი სეანსის დროს (კაშპიროვსკი!) განაცხადა: „პარლამენტის თავჯდომარე დავით უსუფაშვილი ედუარდ შევარდნაძეს დაემსგავსა“.

რატომ, პატივცემულო, და რით დაემსგავსა? პოლიტოლოგის (თუ ეკონომიკური ექსპერტის) მისამართით ვკითხულობ, ანუ, როგორც ახალი ქართულით ითქმის — იმასთან მიმართებაში.

ვინ არის ეს ინკოგნიტო „ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომლის გვარსაც არ დავასახელებ?“

იგია, დიახ! ვინც მიხვდება, ხომ კარგი, ვინც - ვერა, შეხედოს ეკრანს და თვალში ყველაზე ხშირად დირესავით რომ გაეჩხირება, ი-გია.

თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, იგია თუ სხვა, რადგან ამ შემთხვევაში იმდენად პერსონა კი არაა საინტერესო, რამდენადაც ზნეობის ნორმის კონკრეტული დარღვევის ფაქტი, რომელსაც ჩვენი მორალისტების უმეტესობა არად დაგიდევთ.

პირზე მომდგარი დუჟი ეშმაკის დასაწყისია...

მაშ, რით დაემსგავსაო უსუფაშვილი შევარდნაძეს?

იმით, თურმე, რომ შევარდნაძესავით გაუგებრად ლაპარაკობს, სიტყვების აბდაუბდა რახარუხითო.

მოკლედ — ბოდიალობს.

ისმინეთ: „უსუფაშვილის განცხადებები იყო შევარდნაძის განცხადება, ილაპარაკა რაღაც გაუგებარ ოპერაციულ შეთანხმებაზე, რომელსაც სამი დღეა, გვიხსნიან, და ვერავინ აგვიხსნა, რას ნიშნავს“.

„უსუფაშვილის განცხადებები იყო შევარდნაძის განცხადება“, — ჩიქორთული გამართული ეს წინადადება კოლმეურნეობის ინკოგნიტო თავმჯდომარის სიტყვაკაზმული მჭერმეტყველების ნიმუშად ჩავთვალოთ.

— ხომ? — როგორც მას უყვარს ასეთი შეკითხვით მსმენელებისადმი ხშირ-ხშირად მიმართვა, ვიკითხოთ ჩვენც:

— ხომ?

მაგრამ, მოდით „განცხადებები“-„განცხადება“ ლაფსუს ლინგვათი გავამართლოთ და უსუფაშვილთან ურთიერთობის გარკვევის უფლება დავუტოვოთ მასშტაბურად მოაზროვნე ექსპერტს.

სხვა კუთხით შევხედოთ.

მოხმობილ ციტატაში მთავარი სიტყვა არის „გაუგებარი“, ვერვისგან აუხსნელი. უსუფაშვილი ისე გაუგებრად ლაპარაკობს, როგორც შევარდნაძე(!)

გაუგებრად მოლაპარაკე ედუარდ შევარდნაძის ესმოდათ და იგებდნენ: ამერიკის პრეზიდენტები — რონალდ რეიგანი, მამა-შვილი ბუშები, ბილ კლინტონი; სახელმწიფო მდივნები: შულცი, ბეიკერი; გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი, საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს დიტრიხ გენშერი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი, რკინის ლედი მარგარეტ ტეთჩერი; უსმენდნენ შევარდნაძეს გაეროში, ნატოში, ევროსაბჭოში, საერთაშორისო კონფერენციებზე, ყრილობებზე, სხვათა შორის, ამბოხის მონაწილენიც მოსკოვში და ა.შ. და ა.შ., და არსად, არავის წამოსცდენია, გაუგებრად ლაპარაკობსო იგი. მარტო ეგ ჩვენი „კოლმეურნეობის თავმჯდომარე“ ვერ იგებდა თურმე შევარდნაძის ნაუბარს.

მისი პრობლემაა.

ეს — ერთი. ახლა — მეორე.

წინააღმდეგობაში ვარდება პატივცემული იქვე, იმავე გამოსვლაში: ხომ ამბობს შევარდნაძე გაუგებრად ლაპარაკობდაო?

— ხომ?

დიახ, და იქვე აღიარებს, რომ შევარდნაძე იყო ინტელექტუალი. ირიბად, მაგრამ გასაგებად.

აბა, დააკვირდით: „რესპუბლიკურ პარტიაში“ ერთადერთი ინტელექტუალური ფიგურა დავით უსუფაშვილია... სხვამ ყველამ დაამტკიცა, რომ ამბიციის გარდა იქ (რესპუბლიკურ პარტიაში) აღარაფერია დარჩენილი“.

ე.ი. უსუფაშვილი-ინტელექტუალი ერთადერთია პარტიაში, რომელიც „ედუარდ შევარდნაძეს ძალიან დაემსგავსა“.

მაშასადამე, ედუარდ შევარდნაძე ინტელექტუალია, რომელსაც დაემსგავსა დავით უსუფაშვილი, ვითარცა ინტელექტუალი. ჰოდა ეს, შევარდნაძეს დამსგავსებული ინტელექტუალი ლაპარაკობს რაღაც „გაუგებარს ოპერატიულ შეთანხმებაზე, რომელსაც სამი დღეა გვიხსნიან და ვერავინ აგვიხსნა, რას ნიშნავს“.

ესეც მისეული ლოგიკა და გამართულად ლაპარაკის უნარი.

რა ხდება?!

სააკაშვილზე და ნაცებზე აუგის თქმა დასაგმობია.

— ვაშინერს! — როგორც სამეგრელოში იტყვიან.

დასაგმობია, რადგან ასეთია კოაბიტაციის (და არა კოჰაბიტაციის) დევიზი.

შევარდნაძეზე?

გაჰკარით „თითო ქიშტი“, ბლოკვი, ანუ მუშტი, ვისაც არ გეზარებათ! ესეც იმ ოპერიდანაა, რომლის ლაიტმოტივით აღნიშნეს თბილისის ოპერისა და ბალეტის ცხოველთა ანტიქურქიზმის ახალგამოჩეკილმა ადეპტებმა — იმათ, ვინც დღეს არა, ხვალ შეუტევენ უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“ იმის გამო, რომ

„მას (ტარიელს) ტანს კაბა ემოსა, გარე თმა
ვეფხის ტყავისა,
ვეფხის ტყავისა ქუდიევე იყო სარქმელი თავისა.

მაინცდამაინც საზეიმო გახსნაზე სურდათ დასწრება. ვერ მოახერხეს და გამწარდნენ.

ახლა ოპერის სპექტაკლებს კანტი-კუნტი მაყურებელი თუ ესწრება. ქურქების სეზონიც მიილია. დაშოშმინდნენ ცხოველთა ინტერესების დამცველი ჰომო საპიენსები.

ასპარეზზე დარჩნენ ეთიკასთან მწყრალად მყოფი სპეცები, ექსპერტები და კოლმეურნეობის უსახელო თავმჯდომარეები.

არმაზ სანეგლიძე.

P. S ...„ჩვენთან, საქართველოში „პეპლაობის სეზონის დარი-ამინდი დგას“.

გამოდარებას პირი არ უჩანს. პირზე მომდგარი დუჟი კი ეშმაკის დასაწყისიაო.

ა. ს.

რუსეთი 9 მაისს თბილისში შემოდისო? — არ დაიჯეროთ!

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 71-ე წლისთავთან დაკავშირებით, მოსკოვის ხელისუფლება ევროპის 11 ქალაქში და მათ შორის, თბილისშიც, საზეიმო ღონისძიებების გამართვას გეგმავს და ამ მიზნით ტენდერს ატარებს. განცხადება უკვე ატვირთულია რუსეთის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე, სადაც მითითებულია, რომ გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ორი კონფერენციის ჩატარება — „ფაშიზმისაგან მოლდოვის დაცვისა და გათავისუფლებისას საბჭოთა მეომრების მიერ გამოვლენილი თავდადება უკვდავია“ და „მეორე მსოფლიო ომი და ბალტიის ქვეყნები 1939-1945 წლებში“; ასევე, საზეიმო ცერემონიალის ჩატარება სახელწოდებით „ჩვენ დავიცავით მოსკოვი“.

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ კომენტარს აკეთებს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურა აბაშიძე და ამბობს, რომ მოსკოვის მერიის დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ქართული მედიისგან გაიგო.

„ვერაფერს ვერ გეტყვით იმის შესახებ, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო მოსკოვის მერიამ, რადგან მოსკოვის მერიის საქმიანობის გამოკვლევა არანაირად არ შედის ჩვენს გეგმებში.არც ჩვენში განიხილება ამის შესაძლებლობა და არც საუბარი გვქონია არავისთან. ჩვენ წელსაც ისე აღვნიშნავთ ცხრა მაისს, როგორც ყოველთვის აღვნიშნავდით“, — აცხადებს აბაშიძე.

გიორგი კვირიკაშვილი პაკისტანის მთავრობას და ხალხს სამძიმარს უცხადებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი პაკისტანის მთავრობას და ხალხს ქალაქ ლაჰორეში განხორციელებული ტერაქტის გამო სამძიმარს უცხადებს.

„შემაძრწუნებელია პაკისტანში მომხდარი ტრაგედია.

ტერორისტულ აქტს ქალაქ ლაჰორეში კვალავ უდანაშაულო ადამიანები შეეწირნენ. საუბედუროდ, დაღუპულთა შორის არიან ბავშვები. ეს არის მსოფლიოს ტრაგედია, ეს თითოეული ჩვენგანის ტრაგედიაა.

დიდი გულისტკივილით თანავუგრძნობ პაკისტანის მთავრობასა და ხალხს მომხდარის გამო და გამძლეობას ვუსურვებ მათ ამ მძიმე წუთებში“, — აცხადებს პრემიერ-მინისტრი.

საქართველოს პრეზიდენტი გმობს ლაჰორში მომხდარ ტერორისტულ აქტს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ლაჰორში მომხდარ ტერორისტულ აქტს ეხმაურება და აცხადებს, რომ ქართველი ხალხი თანაუგრძნობს და დგას პაკისტანელი ხალხის გვერდით.

„შეძრწუნებული ვარ ქალაქ ლაჰორში, საბავშვო სათამაშო მოედანზე, მომხდარი საზარელი ტერორისტული აქტით, რომელმაც უდანაშაულო მოქალაქეების სიცოცხლის მოსპობა, მათ შორის, ბავშვების და მრავალი ადამიანის დაშავება გამოიწვია.

საქართველო მტკიცედ გმობს ტერორიზმის ნებისმიერ გამოხატულებას და საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად, ერთობლივი ძალისხმევით განაგრძობს თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლას. ქართველი ხალხი თანაუგრძნობს და დგას პაკისტანელი ხალხის გვერდით. ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს“, — ნათქვამია საქართველოს პრეზიდენტის განცხადებაში.

მაბრალდ გეჭიროს, გიორგი!

— ევროპის სახალხო პარტია ვიზალიბერალიზაციის განხრით საქართველოს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერს მხარს, თუ იგი არჩევნებს გაუყალბებლად და დემოკრატიულად ჩაატარებსო, — განგვიცხადა ამ პარტიის ამჟამინდელმა საპატიო პრეზიდენტმა ჯოზეფ დაულმა „ცრუსთავი-2“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ღმერთო, დიდებულო, აქამდე რომ მეგონა, მარტო გნაცმოძრაობელნი იყვნენ ერთი მამის „შაქმნილები“ და ერთნაირად გესლიანად „მოჭიკჭიკენი“ (პარტიული თვალსაზრისით, ცხადია), თურმე მათს ევროპულ შეფ პარტიაშიც ასევე არ ყოფილა? **ამ პარტიის ახლანდელი ლიდერი დაულიც ზუსტად ის არის, რაც იყო ამავე პარტიელი, ევროკომისიის ამჟამინდელი შეფი აგრამუნ...**

აქ უნდა შევჩერდე. თუ რატომ, ქვემოთ მოგახსენებთ.

ჯერ ერთი, რატომ ჰგონია უფალ პრეზიდენტს, რომ არჩევნები გაყალბდება? 2012 ოქტომბრის შემდეგ ჩვენთან ჩატარებული არჩევნები — პრეზიდენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის თუ მაჟორიტარულ ოლქში გამართული — ყველა საერთაშორისო დამკვირვებელმა და ორგანიზაციამ ხომ დემოკრატიულად და სამართლიანად მიიჩნია?

და მეორეც: ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით ყველა კომპეტენტური ევროპული ორგანოს წარმომადგენლები გვპირდებიან, რომ იგი წლევანდელი ზაფხულიდან ამოქმედდება, პარლამენტის არჩევნები კი ოქტომბერშია.

როგორ მოვიქცეთ, უფალო პრეზიდენტო, **გაზაფხულისთვის გადმოვწიოთ არჩევნები, რათა მის დემოკრატიულობაში დარწმუნდეთ და მხარი დაგვიჭიროთ, თუ ევროსტრუქტურებში ჩვენთან დაკავშირებით რაიმე მორიგი ორპირობის შესახებ იცით და გვიმალავთ?**

თუ ტყუილად ვეჭვობ ამ უკანასკნელებზე და რაიმე ჭორი „ციდან“ მოგაწოდათ რომელიმე „ჩიტმა“ ჩიორამ და თქვენ ახმოვანებთ მას გნაცმოძრაობის გულგასახარად?

ან იქნებ ციდან ჩიორამ კი არა, მისმა „დედამიწელმა“ კოლეგამ გიორგი კანდელაკმა ჩაგჩურჩულათ თუ გადმოგეცათ დაწერილი?

აი, იმ გიორგი კანდელაკმა, თქვენ მიერ გადმოფრქვეულ სიბრძნესთან დაკავშირებით რომ თქვა, ჩვენთვის ვიზალიბერალიზაციის მოცემის გეგმა ჯერ კიდევ 2014 წელს არსებობდა, მაგრამ საქართველოს მთავრობამ ეს შანსი ხელიდან გაუშვაო.

გაუშვებდა, აბა რას იზამდა, გიორგი, შენივ და შენი თანაგუნდელების სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს უნიათო მთავრობა!

ამიტომ შენ გეჭიროს მაგრად!

რა გეჭიროს?

რა და ის, რაც მომავალ პარლამენტის არჩევნებზე საკუთარ გამარჯვებაში ღრმად დარწმუნებულ გნაცმოძრაობელებს ამ არჩევნების შედეგებით შეგრჩებათ ხელში!

ახლა, რაც შეეხება მრავალწერტილს, რომლითაც თხრობის შეწყვეტის მიზეზზე ქვემოთ მოგახსენებთ-მეთქი, დაგპირდით.

რა ვქნა, უნდა ვაღიარო, ერთი ნაკლი მაქვს — წერისას, ჩემდა უნებურად, ასო **„ტ“**-ს ნაცვლად ასო **„დ“** მეწერება ხოლმე. ამიტომაც, რომ არ შევჩერებულიყავი, მისი ნამდვილი გვარის ნაცვლად **აგრამუნდი** გამომივიდოდა.

მერე რაო, გაიკვირვებს, ალბათ, მეგრულის უცოდინარი ლამის ყველა მკითხველი.

რა და, რასაც ნიშნავს მეგრულად ამგვარად გამოსული გვარის ბოლო ხუთი ასო, მე ნუ მათქმევინებთ, თქვენს ნაცნობ რომელსამე მეგრელს სთხოვეთ და იგი გეტყვით.

ისე, მე რომ მკითხოთ, კი არიან ამგვარად მოხსენიებების ღირსნი ჩვენი „მეგობარი“ ევროპის სახალხო პარტიისა და, საერთოდ, ამ პარტიაში შემავალი სხვა ქვეყნების პარტიათა წევრებიც, გნაცმოძრაობის მეთაურობით!

ოთხზე მეტი ცხრა რომაა, ქალბატონო?

გუშინწინდელ „კურიერში“ ისნის რაიონში არსებულ „აუტანელ“ მდგომარეობაზეც გადაიცა სიუჟეტი. ერთნაირად გაოხრებულია გზები, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემებიო...

— ოთხი წლის განმავლობაში არაფერს არ დაადგა საშველი, რომ ხალხი რამენაირად წავიდეს წინო, — ჩიოდა მიკროფონთან მდგომი ქალბატონი.

მას, რა თქმა უნდა, უმალ დაუჭირეს მხარი აბესაძემ და მელიამ, — ეს აქამდე უნდა გაკეთებულიყო, ფული აქვთ და ვერ ითვისებენო!

კი არავის ვიცავ და ვამართლებ, გასაკეთებელი დროულად და ხარისხიანად უნდა გაკეთდეს, მაგრამ, ჩემო იმანოებო, **ამ ოთხ წელს რომ „აწვებით“, მანამდე სულ მცირე ორჯერ მეტ ხანს თქვენი საყვარელი საკაანთ ბიჭის მთავრობა არ იყო ხელისუფლებაში?** რატომ არაფერი არ გააკეთეს? ხომ ფაქტია, რომ გზაც, კანალიზაციაც და სანიაღვრე სისტემაც, ყველაფერი ერთად, ამ ოთხ წელიწადში ვერც მოიშლებოდა და არც სპეციალურად მოშლიდა ვინმე?

ფული აქვთ და ვერ იყენებენო, რომ ამბობთ, მიშას დროს არ იყო ფული?

2008 წლის აგვისტოს ომით დანგრეულის აღსადგენად რომ 4,5 მილიარდი დოლარი მივიღეთ, რომლის ნახევარი, სხვათა შორის, საჩუქარი იყო, რაში დაიხარჯა? **ლამის მილიარდი დოლარი თქვენი ფიურერის საპრეზიდენტო რეზიდენციის მოწყობას რომ მიახარჯეთ, დაგავიწყდათ?** თქვენი ზეობისას აღებული მილიარდობით დოლარის სესხიც არ გახსოვთ, რომლის საბანკო მომსახურება 2013 წლიდან დაიწყო და ჩვენმა შვილიშვილებმა უნდა იხადონ?

აზრი არა აქვს თქვენთან კამათს და, მით უფრო შეგონებას!

ამიტომ ერთსღა გირჩევთ: მერწმუნეთ, ნამდვილად კარგი ოფთალმოლოგები გვყვანან. მიდით მათთან და ისე ოსტატურად ამოგიღებენ თვალებიდან დირეს, ვერც იგრძნობთ!

ხე რომ „გეცოდება“, ხალხი, ვანიჩკა?

რამდენჯერ ვთქვი, მანამ არ ვუყურებ „ვანოს შოუს“, სანამ სპეციალურ ქამარს არ ვიყიდი-მეთქი. აი, ისეთს, ძალოსნები რომ იყენებენ სიმძიმეების აწევისას. იყენებენ და სწორადაც იქცევიან — ხომ შეიძლება, რომ დაძაბულობისგან თიაქარი გამოუვარდეთ ან, სულაც, კუჭი გაუსკდეთ თუ ხერხემალი დაუზიანდეთ?

მე მხოლოდ კუჭის გასკდომისა მეშინია, იმდენს ვიცინი ხოლმე ვანოს „დახვეწილი“ იუმორისა და ხუმრობის მაყურებელი.

ამ ბოლო შოუშიც იოხუნჯა, მაგრამ რა იოხუნჯა: **არაფრით არ მეგონა, თუ 120 წლის ხე ემიგრაციაში წავიდოდაო!**

ვანიჩკა, **ჯერ ერთი** იმ ხეს, გადატანის დროსაც, პოეტისა არ იყოს, ოდნავ გადაკეთებულად — „მშობელ მიწაში ედგა ფესვები“ და გადატანის ადგილიდან სულ რამდენიმე კილომეტრშიც ისევ მშობელ მიწაში დაფესვიანდება. თანაც უკეთეს ადგილას, იმ შესანიშნავი ნაგებობების სიახლოვეს, რომელთაც მალე უამრავი სტუმარი ეყოლება. თანაც უცხოელები!

და მეორეც: ადამიანი რომ სამყაროს უზენაესი ფასეულობა და ქმნილებაა, ამაში, ალბათ, ხისთავიანთა გარდა ყველა დაგეთანხმება.

ჰოდა, ვანიჩკა, იქნებ გაიხსენო, რამდენი ათასი (ასობით ათასი) ადამიანი „გადაირგო“ საქართველოდან საზღვარგარეთ საკუთარი სურვილით აქაური გაუსაძლისი პირობების გამო, შენი სათაყვანო გნაცმოძრაობის „დემოკრატიას“ გაქცეული, რათა იქიდან ერჩინა აქ დარჩენილი ოჯახის წევრები?

რატომ არ შეგცოდებია ისინი და ერთხელაც არ გიოხუნჯია? მწარე სიმართლის ალალად თქმაზე არაფერს ვამბობ.

თუმცა რატომ იტყოდი რამეს — ხალხისთვის წაგლეჯილი ფულებით არ გკვებავდათ „ცრუსთავიორელებს“ გნაცმოძრაობა?!

რუსლან რუსია

არასამთავრობო ორგანიზაციები ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევიანო

საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი თამაზ მეჭიაური გამოეხმაურა არასამთავრობოების მოთხოვნას, მის დაკითხვასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ სამოქალაქო სექტორი ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევა. დეპუტატმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ის პირები, რომლებიც არიან ასახული ფარულ ჩანაწერებში, აუცილებლად უნდა გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან.

„მე მოვუწოდე ისეთი თანამდებობის პირებს, რომლებზეც შეიძლება არსებობდეს ისეთი კომპრომატები, არამარტო ამ ვიდეომასალაში, არამედ ზოგადად ნებისმიერი ფორმით, რომელიც შეიძლება იყოს სახელმწიფო ინტერესის დამაზიანებელი, ასეთი თანამდებობის პირები უნდა განერიდონ ხელისუფლებას, ასე ხდება მთელს მსოფლიოში. ეს არის შანტაჟი იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევიან, იმიტომ, რომ ცდილობენ ნებისმიერი საფრთხის შემცველი ქმედებები გადაფარონ“, — განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი დეპუტატების დაკითხვას მოითხოვს. საქმე ეხება პირადი ცხოვრების კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით თამაზ მეჭიაურისა და დავით ლორთქიფანიძის განცხადებებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური მიიჩნევს, რომ პროკურატურა უნდა დაინტერესდეს, თუ რა კონკრეტული ინფორმაციები აქვთ აღნიშნულ დეპუტატატებს ფარულ ვიდეომასალებთან დაკავშირებით.

„ჩვენ ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, რომ ბატონი მეჭიაური და ლორთქიფანიძე დაკითხოს პროკურატურამ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი, ერთი მხრივ, აანონსებდნენ და, მეორე მხრივ, კონკრეტულ დეტალებზე საუბრობდნენ ამ ვიდეოებთან დაკავშირებით. შესაბამისად, პროკურატურა უნდა დაინტერესდეს, თუ რა ინფორმაცია აქვთ ამ კონკრეტულ პირებს“, — აღნიშნა ეკა გიგაურმა.

პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფა ცალკე დანაშაულად გამოიყოფა

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ინიციატივა, პირადი ცხოვრების ინფორმაციის გასაჯაროვებაზე პასუხისმგებლობის გამკაცრების შესახებ, პარლამენტში დარეგისტრირდა.

„კანონპროექტი, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა მოამზადა და ეს პოზიცია შეევაჯერეთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უწყებებთან, ახალი მუხლის დამატებას გულისხმობს. სისხლის სამართლის კოდექსში 157 პრიმა მუხლი, ეს არის პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფა, ცალკე დანაშაულად გამოვა, როგორც განსაკუთრებული დაცვის სფერო, ის იქნება მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ნუსხაში,“ — განაცხადა ეკა ბესელიამ.

„წამმზომი ჩართულია“

სახალხო დამცველის აპარატში იწყება ახალი საინფორმაციო კამპანია სახელწოდებით — „წამმზომი ჩართულია“, რომელიც ფარული ჩანაწერების გავრცელებას ეხება. უჩა ნანუაშვილმა განაცხადა,რომ საგამოძიებო ორგანოებმა სწრაფად და ეფექტურად უნდა დაადგინონ და დასაჯონ ის ადამიანები, ვინც უკანონოდ მოიპოვეს, შექმნეს და მიმდინარე წლის 11 მარტს გაავრცელეს ერთ-ერთი პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები.

„სახალხო დამცველი იწყებს დღის, საათის და წუთის ათვლას დანაშაულის ჩადენიდან, 2016 წლის 11 მარტიდან დამნაშავე პირების გამოვლენამდე. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, 11 მარტს გავრცელებული პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები ვინ შექმნა, გაავრცელა და როგორ მიმდინარეობს ამ საშინელი დანაშაულის გამოძიება. სახალხო დამცველი კამპანიის ფარგლებში პერიოდულად შეახსენებს საზოგადოებას და საგამოძიებო ორგანოებს ამ დანაშაულის თაობაზე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. გამოძიება უნდა დასრულდეს რაც შეიძლება მალე“, — აღნიშნა სახალხო დამცველმა.

ჯი-ეიბ-ენი, მედიანიუსი

გვიყვარდეს უნივერსიტეტი საკუთარ თავში და არა საკუთარი თავი უნივერსიტეტში

დავწერე ეს სათაური და უმალვე ეჭვი შემომიჩნდა: ერთხელ უკვე ხომ არ მქონია იგი გამოყენებული?!

თუნდაც ასე იყოს, რა დაშავდება? პირიქით, ხშირად უნდა გავიმეოროთ, უნივერსიტეტის დღევანდელ გამგებლებს იქნებ ბოლოს და ბოლოს რაიმე შევასმინოთ.

„საქართველოს რესპუბლიკის“ წინა ნომერში ქალბატონმა **ინესა მეერაბიშვილმა** „წაიკითხა მგლის თავზე სახარება“, დღეს, კიდევ ერთხელ, მე ვცდი...

ორი შავი კატა ალმა მატერში

ლომაიობა-ხუბუობის ჟამს, **ია ანთაძისა** და **ზვიად ქორიძის** ხელმოწერით, **ნოდარ ტაბიძე** უნივერსიტეტიდან რომ გაუშვეს, უზომოდ გულნატკენი და შეურაცხყოფილი პროფესორი, თურმე, საღამოობით, ყველა რომ გაიკრიფებოდა, მიდიოდა მეექვსე კორპუსში და კომენდანტთან საუბრით იკლავდა უნივერსიტეტის წყურვილს.

ამ სევდიანმა ამბავმა, რომელიც საკმაოდ გვიან გავიგე, გულის სიღრმემდე შემძრა და მაშინ უფრო ნათლად წარმოვიდგინე, რა ცეცხლი დუღდა თავისი დაარსებული უნივერსიტეტიდან გაძევებული **ივანე ჯავახიშვილის** მტკივან გულში...

ამის მიუხედავად, ალბათ, მაინც უნდა შევუნდოთ 93 წლის აკადემიკოსს მარიამ ლორთქიფანიძეს, რამდენიმე დღის წინათ ტელეეკრანიდან რომ განაცხადა, უნივერსიტეტმა ურთულესი საბჭოთა ეპოქა ღირსეულად გამოიარაო.

როგორ არა?!

ღირსეულად გამოიარა... ღირსეულ პროფესორთა დევნა-შევიწროებით(?!)...

საინტერესოა, იმ ეპოქაში თუ იყვნენ უნივერსიტეტში ოდეერები?

„ოდეერი“ – ამ სიტყვის მნიშვნელობა თითქმის არავინ იცის. ამას წინათ, ტელევიზიით, ბატონმა **ნუგზარ რუხაძემ** განგვიმარტა, მაგრამ მაინც ვერ დავიმახსოვრე. უფრო ზუსტად, ის მახსოვს, რომ რუსული სიტყვების აბრევიატურაა: **ო** „ოტრიადს“(რაზმს) ნიშნავს, **რ** – „რეზერვს“, აი, **დ** კი ვერ დავიმახსოვრე...

ის კი ყველამ იცის, რომ ეს ცნება თუ აბრევიატურა აუცილებლად რაღაც ცუდს უკავშირდება – „კაგებეს“, სუსს, უშიშროებას, უსაფრთხოებას...

ისე, პირველი სამისგან ჯვარი გვეწეროს, მაგრამ თუ უნივერსიტეტისა და სახელმწიფოს უსაფრთხოებას ვინმე იცავს, აქ ცუდი თავისთავად რა უნდა იყოს?!

დღემდე ვერ დაუდგენიათ, მართლა არის თუ არა შავი კატა, უკაცრავად, ოდეერი უნივერსიტეტში, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს სულაც არ არის მთავარი.

მთავარი ისაა, რომ დღეს უნივერსიტეტში, ერთდროულად, ორი შავი კატა დარბის: ერთი – რექტორსა და აკადემიურ საბჭოს, მეორე – რექტორსა და სტუდენტურ თვითმმართველობას შორის.

ლადო პაპავამ იმდენი მოახერხა, რომ ყველა მხარე აიმხედრა და უნივერსიტეტში ის ავადსახსენებელი დრო მოაბრუნა, კომკავშირლები რექტორს რომ უპირისპირდებოდნენ.

ის კაი ბიჭი ვის მხარეზეა? – დღეში ხუთჯერ მაინც მეკითხებიან **ლევან ლორთქიფანიძეზე**.

ზოგს ვეუბნები, რომ პაპავას მხარეზეა, ზოგს – „არ ვიცი!“ – გააჩნია, როგორ ხასიათზე ვარ.

ზოგჯერ უარესი აზრებიც (პასუხები) მომდის...

უნიგნური ოქმი და „აკადემიური“ ჩიხი

ცხადია, არ ვიცი, არიან თუ არა უნივერსიტეტში ოდეერები, ეს კი ღრმად მჯერა: ათასი ოფიციალური ოდეერი ვერ დაუშავებდა უნივერსიტეტს იმდენს, რამდენიც დაუშავეს აკადემიურმა საბჭომ და საკონკურსო კომისიებმა, ღირსეული სწავლულები რომ არ გაიკარეს და უვიცებით აავსეს ალმა მატერი...

ამაზე იტყვიან, მგელს (ოდეერს) მგლობა შეარქვეს და აკადემიურმა საბჭომ ქვეყანა (უნივერსიტეტი) დააქციაო...

ოდეერმა უბრძანა გია **ხუბუას**, რექტორად დაგნიშნავენ თუ არა, მაშინვე ქართული ენის ინსტიტუტი და პუბლიცისტიკის კვლევის ცენტრი გააუქმეო?!

ოდეერმა გამოიხმო საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი **ზაზა ალექსიძე** და გადასცა იმათი სია (მაგალითად, ნაცი პარლამენტარის მეუღლე), პროფესორებად რომ უნდა აერჩია?!

ოდეერმა დაავალა **მარიამ გერსამიას,** მრავალი წიგნისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორები გარეთ დატოვე და მიმართულება უვიცებით „გააძლიერეო“?!

ოდეერმა დააძალა **თამაზ ჯოლოგუას** იმ ოქმზე ხელმოწერა, სტილითა და სულისკვეთებით, **მიხეილ ჯავახიშვილის** დაკითხვის ოქმისგან თითქმის რომ არ განსხვავდება?!

„იოსებ ჭუმბურიძემ გამოთქვა პრეტენზიები კომისიის შემადგენლობასთან, კონკურსის პირობებთან, ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელთან და გასაუბრებისთვის შერჩეულ დროსთან დაკავშირებით... მან სამარცხვინო უწოდა უნივერსიტეტში შექმნილ ვითარებას.“

ასეთი ოქმით, 37-ში, თუ არ დამხვრეტდნენ, ციმბირი აუცილებლად უკან დამრჩებოდა.

არადა, ერთი თვის შემდეგ, ჩემგან დაწუნებული მიმართულების ხელმძღვანელი (მ. გერსამია) თვითონვე გადააყენეს (აკადემიური საბჭოდან თავად გამოასწრო), ხოლო უნივერსიტეტში შექმნილი ვითარება რომ სამარცხვინო იყო, სულ რაღაც სამიოდ თვეში, მთელმა საქართველომ დაინახა.

თუმცა, რაც ოქმის მიხედვით მითქვამს, მართალიც რომ არ ყოფილიყო, ამით კონკურსანტის კვალიფიკაცია როგორ შეფასდებოდა?!

ბარემ ისიც ვთქვათ, „გამარჯვებული“ როგორ გამოავლინეს. თურმე მან ამომწურავად უპასუხა ასეთ შეკითხვებს: „ ბავშვთა საკითხების გაშუქების კურსში აუცილებლია (ასე წერია!) თუ არა მონიტორინგის სწავლება და როგორი შედეგი მიიღწევა ამით?“

და ასეთ ოქმს ხელს ხუთი პროფესორი(?!) აწერს.

გამოსავალი?

და მაინც, მთავარი გამოსავლის მონახვაა...

პაპავას უუნარობამ არნახული ჩიხი შექმნა : ყველა ხვდება, რომ ახლა მხოლოდ მისი გადადგომა-გადაყენება კატასტროფის ტოლფასია: ეს ოდიოზური და სრულიად არააკადემიური „აკადემიური საბჭო“ უნივერსიტეტს უარეს უბედურებას დამართებს.

ამიტომ სტუდენტებმა, თუ უნივერსიტეტის გადარჩენა გულით სწადიათ, ორივე შავი კატა ალმა მატერიდან ერთდროულად უნდა მიაბრძანონ: კატეგორიულად უნდა მოითხოვონ აკადემიური საბჭოს დაშლაც და რექტორის გადადგომაც.

სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს.

მაშინ ათასი ოდეერიც ვერაფერს დაგვაკლებს...

იოსებ ჭუმბურიძე.

P. S. უკეთესი ის იქნებოდა, თვითონ პაპავას რომ განეცხადებინა, გადავდგები, ოღონდ, აკადემიური საბჭოც დაიშალოსო. მაგრამ იტყვის? არ იტყვის. ამდენი რომ შესძლებოდა, უნივერსიტეტს აქამდე ხომ არ მიიყვანდა?! ჭაობში, რექტორმა და აკადემიურმა საბჭომ ერთობლივი „მოღვაწეობით“ რომ შექმნეს, ჩასაჭიდებელი ხავსიც კი აღარ არის, ამიტომ ხელი ერთმანეთისთვის ჩაუვლიათ. მათ ხომ საკუთარი თავი უყვართ უნივერსიტეტში... ახალგაზრდებმა მათაც უნდა უშველონ და ალმა მატერსაც...

ი. ჭ.

რესპუბლიკელები არც კოალიციიდან გასვლაზე მსჯელობენ და არც თანამდებობებიდან გადადგომაზე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, „რესპუბლიკელი“ დავით უსუფაშვილი, მის პარტიასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას კოალიციისა და და თანამდებობების დატოვების თაობაზე, სოციალური ქსელის მეშვეობისთ ეხმაურება:

„რესპუბლიკელები არ მსჯელობენ კოალიციიდან გასვლაზე და არც ერთი სამთავრობო თუ საპარლამენტო თანამდებობის პირი არ გეგმავს გადადგომას. საკითხი ეხება მხოლოდ მომავალ არჩევნებში პარტიის მონაწილეობის ფორმატს და ამ საკითხზე პარტიის გადაწყვეტილება რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი“, – აცხადებს დავით უსუფაშვილი.

რაც შეეხება პარტიის თავმჯდომარეს, იგი facebook-ის საკუთარ გვერდზე წერს, რომ გადაწყვეტილება მიღებულია.

„26-27 მარტს საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა იმსჯელა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიის მონაწილეობის ფორმაზე. მიღებულ გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში ვაცნობებთ საზოგადოებას“, – აცხადებს ხათუნა სამნიძე. გავრცელდა ინფორმაცია, რომ „რესპუბლიკელები“ კოალიცია „ქართული ოცნების“ დატოვებას გეგმავენ, მაგრამ თანამდებობებს შეინარჩუნებენ.

ტრაგედია არ იქნება, თუკი კოალიციაში შემავალი ძალები არჩევნებზე ცალ-ცალკე მოსინჯავენ შესაძლებლობებს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ეკა ბესელია მიიჩნევს, რომ თუკი, საპარლამენტო არჩევნებზე კოალიციაში შემავალი პოლიტიკური ძალები ცალ-ცალკე მოსინჯავენ ძალას, „ტრაგედია არ იქნება“. მმართველ კოალიციაში შემავალი პოლიტიკური პარტიების საპარლამენტო არჩევნებში ცალ-ცალკე მონაწილეობასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე ბესელია აცხადებს, რომ „ზოგჯერ პოლიტიკაში დგება ეტაპი, როცა ცალკეულმა პოლიტიკურმა ძალებმა შეაძლოა, ინდივიდუალურად მოსინჯონ საკუთარი შესაძლებლობები“, დეპუტატი არ გამორიცხავს, რომ კოალიციაში შემავალი სუბიექტები პარლამენტში მოხვედრის შემდეგ ისევ გაერთიანდნენ.

80 მილიონი დოლარი საქართველოს!

საქართველოსთვის 80 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის შესახებ ხელშეკრულებას გუშინ ხელი მოეწერა. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის ორი ხელშეკრულება გაფორმდა. შესაბამის დოკუმენტებს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა და სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა მერსი ტემბონმა მოაწერეს ხელი.

უწყების ინფორმაციით, „ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის პროექტის“ ფარგლებში მსოფლიო ბანკი ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის პროექტის დასაფინანსებლად 40 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ფინანსურ რესურსს გამოყოფს, ასევე 40 მლნ აშშ დოლარი გამოიყოფა „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტისთვის“.

გოგირდის აბანოებს ნუ ვეხუმრებით!



თითქოს საპროტესტო აქციები გვაკლდეს. მან გაზაფხულის დადგომასთან ერთად კიდევ უფრო იბარტყა და დედაქალაქის მშვიდად მფშვინავ გოგირდის აბანოებსაც მისწვდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქაფქაფა წყლის ოხშივარში თავჩარგულმა ორთაჭალელმა მექისეებმა გასაპნულ კლიენტებს თავი ანებეს, აბანოების მომსახურე პერსონალს შეუერთდნენ და მტკვრისპირა ქუჩაზე ხალხმრავალი აქცია გამართეს.

რამ გაანაწყენა მუდამ მშვიდი და აუღელვებელი აბანოთმსახურნი ამ შუამარხვობის პერიოდში? თურმე ყოფილი „თბილისის წყლის“, ანუ ამჟამინდელი „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ წყლის გადასახადის ახალი ტარიფის დაწესებამ, რაც, აბანოების ხელმძღვანელთა განცხადებით, იმდენად მაღალია, რომ მისი გადახდა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ჰოდა, რადგან მათთან ჭიდილში ვერაფერი გააწყვეს, ამიტომაც მიმართეს ქუჩას და ხელისუფლებას გამოფხიზლებისკენ მოუწოდეს.

მაგრამ გოგირდის აბანოებსა და თბილისის წყლის კომპანიას შორის აქამდე თუ ურთიერთმაამებლური დამოკიდებულება სუფევდა, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ ახლა რაღა ბზიკმა უკბინა? ჭრელი აბანოს დირექტორის გურამ ტედიაშვილის განმარტებით, იმის გამო, რომ გოგირდის აბანოების ბიზნესი სპეციფიკურია (ის ტურიზმთან მჭიდრო კავშირშია), „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ მას ტარიფს არ უწესებდა და სიტყვიერი შეთანხმებით გონივრულ ფიქსირებულ გადასახადს ახდევინებდა. მას შემდეგ, რაც კომპანიაში ხელმძღვანელობა შეიცვალა, კერძოდ, 2015 წლის თებერვლიდან, აბანოებს გადასახადი არაგონივრულად გაეზარდათ და უთანხმოების სერიალიც სწორედ აქედან დაიწყო.

ამასთან ერთად თუ შპს „ნარიყალას“ დირექტორსაც (ნოდარ ტოტოღაშვილი) მოუსმენთ, **უმალ მიხვდებით ძაღლის თავი რაშიც მარხია. მისი თქმით, პრობლემები და კონფლიქტი მას შემდეგ წარმოიშვა, რაც „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ აქციების ნაწილი „საქართველოს ბანკმა“ შეიძინა და კომპანიის მართვა მთლიანად ჩაიბარა.** მას შემდეგ გოგირდის აბანოებისგან მოითხოვეს ინფორმაცია, რამდენ კუბმეტრ წყალს მოიხმარენ დღეში, რათა წყლის დაღვრის გადასახადი განუსაზღვრონ.

„საუბარია საკანალიზაციო ქსელში ჩამდინარე წყალზე. ჩვენ შემოსავალი წყლის ყოველი მოხმარებული ლიტრიდან არ გვაქვს, შეიძლება დღე გავიდეს და ერთი კლიენტიც არ შემოვიდეს ნომერში. საბოლოო ჯამში 15-ჯერ გაგვიზარდეს გადასახადი, რაც თვეში დაახლოებით 10 ათას ლარს შეადგენს. ეს არის ბანკირების პოზიცია. მათ სარჩელი შეიტანეს სასამართლოში და ექვსივე აბანო დააყადაღეს“, — აცხადებს „ნარიყალას“ თავკაცი ტოტოღაშვილი.

არ გეცნოთ? ეს არის თურმე ბანკირების პოზიცია, რომლებიც ოღონდ თავად მოგება ნახონ და ყველას და ყველაფერს ატყავებენ. **კომერციული ბანკები სათავისოდ შესანიშნავად იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებას — საკუთარი საქციო კაპიტალის 50 პროცენტი განათავსონ არაპროფილურ ბიზნესში. რა დასამალია, მას შემდეგ, რაც ბანკებს ამ კანონით ხელ-ფეხი გაეხსნათ, დაიწყო მათ მიერ ბიზნესის ანექსია.** დღეს ბანკები ფლობენ სადაზღვევო კომპანიებს, სამშენებლო და სამედიცინო დაწესებულებებს, ღვინის კომპანიებს, ტურისტულ სააგენტოებს, ფიტნეს-კლუბებს და, როგორც ვნახეთ, თურმე გოგირდის აბანოებსაც(!). ეს სადამდე მიიყვანს ბიზნესს, ქვეყანაში ვინმემ ხომ უნდა იფიქროს?

პრობლემები და კონფლიქტი მას შემდეგ წარმოიშვა, რაც „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ აქციების ნაწილი „საქართველოს ბანკმა“ შეიძინა და კომპანიის მართვა მთლიანად ჩაიბარა.

რა თქმა უნდა, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მესვეურები „ქართული ბანკის“ მოთხოვნით არ ხსნიან აბანოებისთვის გადასახადის გაზრდას, უბრალოდ, ამბობენ, მათ იმდენი შემოსავალი კი აქვთ, რომ ტარიფის სიძვირეზე არ იწუწუნონო. ჩვენ მათგან განსაკუთრებულს არაფერს მოვითხოვთ, გადაიხადონ მარეგულირებლის მიერ დაწესებული ზღვრული ტარიფი 90 თეთრი და სალაპარაკოც აღარაფერი იქნებაო. ამას კი ამბობენ, მაგრამ **არავის უკითხავს, შემოსავალ-გასავლის მაჩვენებელი რამდენად პროპორციულია ერთმანეთის მიმართ. თუ აღმოჩნდება, რომ აბანოები ზარალის მეტს ვერაფერს ნახავენ, წაგებით საქმიანობას ვინ დააავალდებულებს?**

აქ მარტო აბანოების მესაკუთრეთა ზარალზე არ არის საუბარი, თუ ტარიფი გაიზრდება, მაშინ მომხმარებელსაც გაეზრდება აბანოთი მომსახურების საფასური, რაც კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დააწვება ისედაც გადახდისუუნარო ჩვენს მოსახლეობას. მით უფრო, რომ ხსენებული აბანოებით ძირითადად სარგებლობენ სოციალურად დაუცველი ჯგუფები, პენსიონერები, შრომისა და ომის ვეტერანები.

— შიშით ვადევნებ თვალს გოგირდის აბანოების ირგვლივ ატეხილ აურზაურს, — ამბობს ოთხმოცს გადაცილებული ჯაბა მაღლაკელიძე, — სახსრების გაუნელებელი ტკივილი მაწუხებს და კვირაში ორ-სამჯერ ამ წყლით თუ არ ვიბანავე, არ ვიცი, რა მეშველება. მთელი ცხოვრება ეგრეთწოდებული „მირზოევის“ აბანოთი ვსარგებლობდი, მაგრამ ამ ერთი წლის წინათ იქ 3-ლარიანი „საერთო“ 8 ლარი გახადეს და იძულებული გავხდი, „მეხუთე აბანოს“ შევკედლებოდი. ახლა ტარიფი თუ გაიზარდა, არ გამიკვირდება იქაც ფასმა 10-15 ლარზე აიწიოს და უნუგეშოდ დავრჩე, — წუწუნებს ბერიკაცი. ასეთები ხომ უამრავია.

არადა, **ტარიფის გაზრდა რატომღაც დაუსაბუთებლად მეჩვენება. როგორც აბანოების მფლობელთაგან შევიტყვე, ეს საკანალიზაციო სისტემა, რომლითაც დღეს გოგირდის აბანოები სარგებლობენ, თურმე საუკუნეების წინათ შეიქმნა. აბანოებში საკუთარი საკანალიზაციო ქსელი აქვთ, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ მისთვის ერთი მილიც არ შეუმატებია, გადასახადი კი უნდა რომ გაუათმაგოს(!).**

რატომღაც არავინ ფიქრობს, რა მოხდება მაშინ, თუ აბანოების მფლობელნი და წყლის კომპანიის მესვეურნი ვერ შეთანხმდებიან და გოგირდის აბანოები მუშაობას შეწყვეტენ. წყლის გადაკეტვის შემთხვევაში (ის ჭაბურღილის მეშვეობით 2,5 ათასი მეტრის სიღრმიდან მოედინება) ჭაბურღილს პრობლემა შეექმნება და გოგირდის წყალი, რაც თბილისელებთან ერთად უამრავ ტურისტს იზიდავს, საერთოდ დაიკარგება.

ამიტომაც ვფიქრობ, ხელისუფლების ნაცნობი პოზიცია, რომ კერძო მესაკუთრეთა დავაში ვერ ჩაერევა (მას სასამართლო გადაწყვეტს), ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება თბილისის ისტორიული სიმბოლოს — თბილი წყლების დაკარგვას, არ გამოდგება. აქ საუბარია სპეციფიკურ ბიზნესზე, რომელსაც დედაქალაქის მერია, ქვეყნის მთავრობა ამჯერად ჩაურევლობის მოტივით ზურგს ვერ შეაქცევენ და გოგირდის აბანოებს დაპირისპირებულ მხარეთა გაჭიანურებულ დავას არ გადააყოლებენ.

ოთარ ხუციშვილი

ახალი გზა წყალტუბო-ფარცხანაყანევში

საძართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ხერგიანმა წყალტუბო-ფარცხანაყანევის საავტომობილო გზის 5.7-კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

წყალტუბო-ფარცხანაყანევის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო მონაკვეთი ქუთაისი-ხონი-სამტრედიის საავტომობილო გზის გადაკვეთასთან იწყება და საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის მიერთებასთან სრულდება. გზის აღნიშნული მონაკვეთი მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე — სოფლებზე მაღლაკსა და ფარცხაყანევზე გადის და გზის გასწვრივ მდებარე სხვა სოფლებს ქალაქ წყალტუბოსთან და საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზასთან აკავშირებს.

პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა გზის საფარსა და ხელოვნურ ნაგებობებს.

სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 2,5 მილიონი ლარია.

არაბეთის დელეგაცია ჩვენს აგრარულ პოტენციალს ეცნობა

საძართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები ლევან დავითაშვილი და იური ნოზაძე საუდის არაბეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დელეგაციის წევრებს შეხვდნენ. დელეგაციას საუდის არაბეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, დოქტორი ემად ალ დაიჯი ხელმძღვანელობს.

საუდის არაბეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები საქართველოში პირველად იმყოფებიან. ვიზიტი ერთკვირიანია, რომლის ფარგლებში მხარეები საქართველოს აგრარული სექტორის პოტენციალს გაეცნობიან და ორ ქვეყანას შორის მომავალი თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელებენ.

„მოგეხსენებათ, საუდის არაბეთში გადის ქართული ცხოველური წარმოშობის პროდუქტი — ცხვარი. დელეგაციის წევრებს დავათვალიერებინებთ და გავაცნობთ ინფრასტრუქტურას ვეტერინარიის კუთხით. ვიზიტის ფარგლებში სტუმრები ასევე გაეცნობიან საქართველოს საინვესტიციო პოტენციალს და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებებით მიმდინარე საქმიანობას “, — აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართული შეხვედრის შემდეგ, დელეგაციის წევრებმა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ოფისები დაათვალიერეს და მათ საქმიანობას გაეცნენ. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ჯიღაურაში სასოფლო-სამეურნეო ბაზის, ქვეყნის მასშტაბით სანერგე მეურნეობების, ფერმებისა და საწარმოების დათვალიერებაც.

საუდის არაბეთის გაერთიანებული სამეფო ერთ-ერთი უმსხვილესი ბაზარია. აღნიშნულ ბაზარზე ქართული აგრარული პროდუქციის გატანის ხელშეწყობა ქვეყნის ეკონომიკის და, მათ შორის, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მარტის ბოლომდე ამინდი არ გაუმჯობესდება

გარემოს ეროვნული სააგენტო 28 მარტიდან 3 აპრილამდე პერიოდის განმავლობაში, საქართველოში მოსალოდნელი ამინდის შესახებ ავრცელებს ინფორმაციას.

„28-29 მარტს საქართველოში მოსალოდნელია წვიმა, მაღალ მთაში თოვლი, 29-ში ზოგან ძლიერი. მაღალმთიან რაიონებში ზოგან შესაძლებელია ქარბუქი. იქროლებს დასავლეთის ძლიერი ქარი. ჰაერის ტემპერატურა 29 მარტს +5,+10-მდე დაიკლებს.

30-31 მარტს ნალექი შენარჩუნდება ზოგიერთ რაიონში. ჰაერის ტემპერატურა +9, +14-ია მოსალოდნელი.

1-2 აპრილს გამოიდარებს და დათბება +16, +21-მდე“, — აცხადებენ გარემოს ეროვნულ სააგენტოში. მათივე ინფორმაციით, 3 აპრილს კვლავ გაწვიმდება და შედარებით აცივდება.

25 **მარტს** საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში საქართველოს **სახალხო** მხატვრის **თემო გოცაძის** საიუბილეო გამოფენა – **„ლურჯა ცხენებიდან აბსტრაქციამდე“** გაიხსნა. გამოფენაზე მხატვრის კატალოგის წარდგინებაც გაიმართა.

სახალხო მხატვრის 140 ნამუშევრიდან, რომელიც საიუბილეო ექსპოზიციაზე წარმოადგინეს (მათ შორის მონუმენტური აბსტრაქციები), უმეტესობა ფართო საზოგადოების წინაშე პირველადაა წარმოდგენილი. მეტად საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ გრაფიკული სერია.

მხატვრის შემოქმედებაზე ვრცლად ისაუბრეს მეგობრებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა. საიუბილეო თარიღი მიულოცეს სახალხო პოეტმა **ჯანსულ ჩარკვიანმა** და მხატვარმა **გივი თოიძემ.** ეროვნული გალერეის საგამოფენო დარბაზს კარგა ხანია, ამგვარი ხალხმრავლობა არ ახსოვს. სტუმართა შორის იყვნენ საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი, ბატონი **გიორგი კვირიკაშვილი,** საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი **მიხეილ გიორგაძე,** დედაქალაქის მერი **დავით ნარმანია,** კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მხატვრის კოლეგები.

საქართველოს **სახალხო** მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ღირსების ორდენოსანი ხელოვანის თემო გოცაძის ნამუშევრები საქართველოს ეროვნული მუზეუმის გარდა, ინახება კალიფორნიის ფედერალურ, დიუსელდორფის თანამედროვე ხელოვნების, კანადის თანამედროვე სახვითი ხელოვნების, მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმებში, ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეაში, იტალიის, აშშ-ის, მექსიკის, ირანის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, რუსეთისა და საქართველოს ხელოვნების მოყვარულთა კერძო კოლექციებში.

გამოფენა 15 აპრილამდე გასტანს და ჩვენი ქალაქის სტუმრებსა და თბილისელებს, ჭეშმარიტი ხელოვნების თაყვანისმცემლებს საშუალება ექნებათ დატკბნენ დიდი ხელოვანის შემოქმედებით.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს კი ვთავაზობთ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, ქალბატონ **ეკატერინე კიკნაძის** წერილის საგაზეთო ვარიანტს **„ლურჯა ცხენებიდან აბსტრაქციამდე“,** რომელიც მხატვრის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოცემულ კატალოგშია დაბეჭდილი.

ლურჯა ცხენებიდან – აბსტრაქციამდე

* თემო გოცაძე სამხატვრო ასპარეზზე 60-იან წლებში გამოვიდა. როგორც განსხვავებული ხედვის მხატვარმა და თავისებურმა, ქარიზმატულმა, ფიცხი და კონფლიქტური ბუნების მქონე, ამავე დროს მეგობრულმა და საინტერესო ადამიანმა, თავიდანვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება და ათწლეულების მანძილზე ინარჩუნებს მას.*

მისი ცხოვრების დიდი ნაწილი, ერთი მხრივ, მხატვრის ტიპური ცხოვრება – არეული სახელოსნოთი, ფართო სამეგობრო წრით, პერსონალური და ჯგუფური გამოფენებით, მუშაობით საკუთარ მხატვრულ ამოცანაზე. ამავე დროს ძალზე განსხვავდება კიდეც მხატვრის თავისუფალი ყოფისგან, რადგან იგი წლების მანძილზე ერთმანეთთან ათავსებდა აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას და ქვეყნის მთავარ სამხატვრო დაწესებულებების ხელმძღვანელის ფუნქციას. მის კარიერას, ისე, როგორც შემოქმედებას, ოპონენტიც ბევრი ჰყავს და მომწონებელიც, მას აქებენ და აკრიტიკებენ. შეფასება კი არასდროს არის ნეიტრალური.

თემო გოცაძის და მისი თაობის ასპარეზზე გამოსვლა ქართული მხატვრობისთვის უაღრესად საინტერესო მონაკვეთს დაემთხვა. 60-იანელთა თაობა უშურველად პოსტსტალინური ლიბერალიზაციის ეტაპზე 50-იანელების მიერ მოხდენილი რეფორმის შემდეგ გამოვიდა დამოუკიდებელ სამხატვრო ასპარეზზე.

თემო გოცაძის 50-იანელების მხატვრული გამოცდილება როგორც პიროვნული, ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. იცოდა, რომ მსგავსი მიდგომა ფერწერის მიმართ, მისეული არ იყო, თუმცა, „მთავარი ორმოცდაათიანელი“ თემო გოცაძისთვის გურამ (ხიტა) ქუთათელაძე გახლდათ.

თემო გოცაძე გურამ ქუთათელაძესთან სამხატვრო აკადემიაში ჩაბარებამდე ემზადებოდა. გურამ ქუთათელაძესთან მუშაობა, გაცილებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მისთვის, ვიდრე ნებისმიერ სხვა პედაგოგთან ურთიერთობა.

ახალი გზების ძიებაში სამოციანელების რამდენიმე მხატვრისთვის და მათ შორის თემო გოცაძისთვის მთავარ მიგნებად მონუმენტური მხატვრობა და მისი ამოცანების სპეციფიკური გააზრება იქცა.

მასშტაბურობა, რომელიც ასე გამოკვეთილად ახასიათებს თემო გოცაძის ნამუშევრებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 60-70-იანი წლების ქართული მხატვრობის ზოგადი მახასიათებელია.

თემო გოცაძემ კედლის მხატვრობაზე არაერთხელ იმუშავა. საქტელერადიომაუწყებლობის (დღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის) ჰოლში მის მიერ შესრულებულია პანო „გაზაფხული“ (1975 წელი), ბაღდათში, ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში (1983 წელი) და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის (1996-97) წლები; დღეს (შ. რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი) – კედლებისა და ჭერის მოხატულობა, ხოლო 1989 წელს, კოკა იგნატოვთან ერთად, სან დიეგოს კულტურის ცენტრის მოხატულობა. თუმცა მაშინაც, როდესაც დაზგურ მხატვრობაზე მუშაობს, ნამუშევრის ფორმატი უმეტესად ძალიან დიდია. 1980 წელს შესრულებული ნამუშევარი „ჩემი საუკუნე“, რომელზეც მხატვარმა მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორიისთვის მნიშვნელოვანი პიროვნებების პორტრეტები გამოსახა (დაიწვა 1991 წელს, სამოქალაქო ომის დროს), ზომით 460X800 იყო. თემო გოცაძე გამოკვეთილად ინდივიდუალურია. ჯერ კიდევ 1965 წელს შესრულებულ „ლურჯა ცხენებში“ (240X230), რომელმაც მხატვრს პირველი წარმატება მოუტანა, ჩნდება მხატვრული სახით ის თავისებური განცდა და მხატვრისეული გარდასახვა, რომელიც მთელი შემოქმედების მანძილზე სახასიათოა მისთვის. გოცაძის „მითოლოგიზებული რეალიზმი“ – ასე დაარქვა ერთ-ერთ პირველ რეცენზიაში კრიტიკოსმა ჯანრი კაშიამ თემო გოცაძის შემოქმედების მთავარ მახასიათებელს.

„მითოლოგიზებული რეალიზმი“ საკმაოდ მდიდარია – წლების მანძილზე მის ნამუშევრებში აისახება როგორც მითოლოგიური („ქირონი და აქილევსი“ ,1996, „ბახუსი“ , 1997 წელი, „მდინარე სტიქსი“ ,1997 წელი), ისე ისტორიული („XX საუკუნე“, 1983 წელი, „როცა ეპოქა დასრულდა დიდი“ (1987 წელი) და რელიგიური („ქრისტიანობა“ ,1983 წელი; „განკითხვის დღე“, 1983 წელი, „წმინდანები“, 1983 წელი), სიუჟეტები, ალეგორიები („გაზაფხული“, 1985 წელი, „მოტაცებული მშვენიერება“, 1999 წელი), ასევე ზოგადი, საკუთარი ქვეცნობიერიდან წამოსული განცდების ვიზუალიზაცია სხვადასხვა მეტაფორებისა თუ სახე-სიმბოლოების საშუალებით („რეკვიემი“, 1997 წელი, „აგრესია“, 1987 წელი, „აღმაფრენა“, 1994 წელი, „დამანებეთ თავი“, 1986 წელი); პერიოდულად ჩნდება სოფლის ცხოვრებისა და იდილიის ამსახველი სცენები („კალოობა“, 1997 წელი, „ზემოიმერული მოტივი“, 1997 წელი, „შარაგზაზე“ ,1997 წელი).

თემო გოცაძის შემოქმედებაში 1990-იანი წლებიდან კიდევ ერთი წყობისეული სისტემა იკვეთება. ეს, გარკვეულწილად, „ლურჯა ცხენების“ კომპოზიციური ლირიკის გაგრძელებაა, მაგრამ გაზრდილი ფერადოვანი დატვირთვით. ნამუშევრების სერიებში „შაბაში“ (1991 წელი) და „ეფემერა“ (1997-1998 წლები), ასევე, სურათებში „ცხენისწყალის ხეობაო!“ (1998 წელი), „მითოლოგიური მოტივი“ (1998 წელი), „თავდასხმა“ (2002 წელი), „არწივი ვნახე დაჭრილი“ (2010 წელი), მხატვარი მრავალფიგურიან კომპოზიციას, უმეტესად, დინამიკური წრიული ლოგიკით ავითარებს და განზოგადებული, პირობით ფონის ირეგულარულ, ტალღოვან ფორმებს კონტრასტულად უპირისპირებს სხეულებრივი ფორმების ფერადოვნებას. ირეგულარული ფორმებით მხატვრული თამაში 90-იანი წლების მიწურულსა და 2000-იანი წლების დასაწყისიდან მხატვრის აბსტრაქციით გატაცებაში გადაიზარდა.

ფერწერული აბსტრაქცია თემო გოცაძემ პირველად 2003 წელს, ეროვნულ გალერეაში გამართულ პერსონალურ გამოფენაზე წარმოადგინა. მათი უმრავლესობა 2000 წლით თარიღდება. ნამუშევრების ნაწილი მუსიკალურ ალუზიებზე შესრულებული ფერწერული ფანტაზიებია: „პრესტო“, „ალეგრო“, „მოდერატო“, „ფუგა“, „სიმფონია“, „რაფსოდია“.

მას შემდეგ, უკანასკნელი რამდენიმე წელია, აბსტრაქცია თემო გოცაძის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ბოლო წლებში შესრულებული აბსტრაქციების გარკვეულ წინაპირობად, ინსპირაციულ მოტივად, თუ პარალელურ ხაზად, უნდა ჩაითვალოს ნამუშევრები 2000 წელს შესრულებულ სერიიდან „პეიზაჟი“. შედარებით მცირე ფორმატის სურათები შეიცავენ პეიზაჟის კონკრეტულ მოტივებს – შორს მიმავალ გზას, ხეებს გზის გასწვრივ, მთებს, ფრინველებს, პატარა სახლებსა და ეკლესიებს.

ცალკე სერია თემო გოცაძეს მიერ ქაღალდზე, ფერადი ფანქრით შესრულებული აბსტრაქციები. ამ მცირე ზომის ნამუშევრებში (24X24) მეორდება ფერწერული აბსტრაქციისთვის ტიპური ძირითადი წყობისეული მოტივები. გზა აკადემიურიდან – უსაგნო მხატვრობამდე მისთვის თავისუფლებისკენ მიმავალი გზაა, სადაც არც ფორმის, არც შინაარსის გადმოცემის საკითხი არ დგას და შეუძლია, უბრალოდ ქვეცნობიერს მიჰყვეს.

აბსტრაქციის პარალელურად თემო გოცაძის მხატვრობაში ისევ რჩება მოტივები, თემები და არსებანი, რომლებიც ათწლეულებია სურათიდან სურათში მოგზაურობენ და მისი შემოქმედების მუდმივი თანმდევია. ერთ-ერთი ასეთი თემაა „ვეფხისტყაოსანი“.

თემო გოცაძემ „ვეფხისტყაოსანზე“ პირველად 1965 წელს იმუშავა. სხვადასხვა თაობის ქართველი მხატვრების მიერ პოემის ინტერპრეტაციის არაერთი მაგალითი, რომელიც მანამდე ათწლეულების მანძილზე სრულდებოდა, მისთვის ერთგვარი გამოცდილება იყო. 1966 წელს თემო გოცაძის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე შესრულებული 11 სურათი სხვა მხატვრებთან ერთად, კულტურის სახლში გამოიფინა. ეს იყო მისი პირველი შეხება „ვეფხისტყაოსანთან“.

„ვეფხისტყაოსნის თემას მეორედ იგი 2003 წელს დაუბრუნდა და 7 წლის მანძილზე იმუშავა. ეს არის მუყაოზე აკრილით შესრულებული 56 კომპოზიცია, რომელთა ზომაა 275X170. სამი წანამძღვრის – „შოთა რუსთაველი წმინდა სამებისა და თამარის მიერ ხელდებული“ (486X170), „პოემის წარდგენა თამარის კრებაზე“ (610X600) და „რომელმან შექმნა სამყარო“ (625X600) შემდეგ მხატვარი თანამიმდევრულად მიჰყვება პოემის სიუჟეტს და ყველა მნიშვნელოვან პერსონაჟსა და მოვლენას ასახავს. კომპოზიციები ჰორიზონტალური ფორმატისაა და ერთიანობაში, ფრიზის წყობით, დიდ საგამოფენო სივრცეში აღქმაზეა გათვლილი.

ეს კომპოზიციები არის საფუძველი თემო გოცაძის მიერ ბოლოხანს შესრულებული კიდევ ერთი მიახლოებისა „ვეფხისტყაოსანთან“. ამჯერად, მათი მასშტაბი და კომპოზიცია მისადაგებულია წიგნის ილუსტრაციის ფორმატს. მასალად გამოყენებულია ქაღალდი და ფერადი ფანქარი. 2003-2010 წლების კომპოზიციები პომპეზურობისგან განსხვავებით, უკანასკნელი ვერსია მეტი ლაკონიზმით ხასიათდება.

შემოქმედების ამ ეტაპზე, თემო გოცაძის მხატვრობისთვის უწინ სახასიათო მითოლოგიზებური რეალიზმი, აბსტრაქტირებულ რომანტიზმში გადაიზარდა. უცვლელი დარჩა მისი ერთგულება მხატვრობის მიმართ, რომელსაც ახლა უკვე მთელ დროს უთმობს და ალბათ შემდგომ ნოვაციასაც არ დაახანებს.

ეკატერინე კიკნაძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

◎ „საზღვარს“ მიღმა

დავიწყებული „ლენინგორი“

ახალგორელები რაიონის ხელმძღვანელის მორიგ გადაყენებას ელიან. როგორც „эхо Кавказа“-ს საზოგადოებრივმა აქტივისტმა თამარ მეარაკიშვილმა განუცხადა, ხმები რაიონის ხელმძღვანელ ალექსეი ბოსიკოვის მოსალოდნელი გადაყენების შესახებ რაიონში უკვე თვეზე მეტია, დადის და ადგილობრივები მის გადადგომას მოუთმენლად ელიან:

„უკვე ორი წელია, რაც ის რაიონს ხელმძღვანელობს, მაგრამ ადგილობრივი სოფლების სახელწოდებებიც კი არ იცის, თითქმის არ ურთიერთობს ადგილობრივებთან, არა აქვს მიღების დღეები... მისთვის სულერთია, თუ ვინმეს საშვი არ მისცეს... ვფიქრობ, მან უბრალოდ არ იცის ჩვენი პრობლემები. მასთან დაახლოებული პირებიც კი, რომლებიც მისი სიკეთის ხარჯზე ცხოვრობენ, უკმაყოფილონი არიან. დიახ, მათ კარგი მატერიალური მდგომარეობა აქვთ, თუმცა ამავდროულად, ესმით, რომ წლები გადის, მაგრამ არაფერი არ ვითარდება. ბოლო საწარმო რაიონში საცხოვრებელ-კომუნალური მეურნეობა იყო. ახლა აღარც ის არსებობს — ხალხი მიდის, მეურნეობები იშლება. ადგილობრივები ამბობენ: „როგორც ჩანს, წასვლას აპირებენ, ჩვენ კი ისევ საქართველოს გადაგვცემენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ასე როგორ დაიწყებდნენ რაიონის ნგრევასო?!, — აი, ასე აფასებს ხალხი რაიონული ხელმძღვანელობის მუშაობას“.

ოსი ექსპერტის როლანდ ქელეხსაევის აზრით, „ის, რაც ლენინგორის რაიონში ხდება, იმის მაგალითია, რომ არანაირ მოცულობით საბიუჯეტო დაფინანსებას არ ძალუძს ხალხისა და საკუთარი ვალდებულებების მიმართ ჩინოსნის აგდებული დამოკიდებულების კომპენსირება“:

„რა ხდებოდა იქ ბოლო პერიოდში, მხოლოდ ღმერთმა იცის. ხალხს სძალავდნენ საკუთრებას, აშანტაჟებდნენ საშვების არგაცემითა და სამსახურიდან დათხოვნით. ჩინოსნებმა რაღაც გაუგებარი ინტრიგები დახლართეს, სასამართლო დავები, ხარკი... სიტუაცია სამარცხვინოა. არ არის პატრონი, რომელიც იქ ელემენტარულ წესრიგს დაამყარებდა, შექმნიდა ყველასთვის თანაბარ პირობებს“.

„ლენინგორის რაიონი ცხინვალის იურისდიქციაში 2008 წლის ომის შემდეგ გადავიდა. მოსახლეობის ნაწილმა ახალი მმართველები არ მიიღო და საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდა საცხოვრებლად, ნაწილი კი დარჩა და შეეცადა, უკვე ახალ სახელმწიფოში აეწყო ცხოვრება. მაგრამ საქმე წინ არ მიდის, არაფერი გამოდის“, — ამბობს ოსი ექსპერტი მადინა შავლოხოვა:

„იქ არაჩვეულებრივი ბუნებაა, ისტორიული ძეგლები. საბჭოთა პერიოდში რაიონი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კოლოსალურ რაოდენობას აწარმოებდა. ადგილობრივ მაცხოვრებლებს სამხრეთ ოსეთში ცხოვრება სურთ, ოსების გვერდით ყოფნა, მაგრამ არ ესმით, რატომ არავინ მუშაობს მათთან, რატომ არ ცდილობენ რაიონის ეკონომიკის განვითარებას. იქ ხომ უნაყოფიერესი მიწაა,მშრომელი ხალხი... მიეცით შესაძლებლობა, იშრომონ და ისინიც ვისაც გნებავთ, ყველას დააპურებენ. იქ საჭიროა ადამიანი, რომელიც ხალხს რწმენას დაუბრუნებს, რომ მათ რაიონს აქვს მომავალი“.

მადინა შავლოხოვას თქმით, **„ლენინგორელები იმედით ცოცხლობენ: იქნებ გაუმართლოთ და საქმიანი ხელმძღვანელი გაუგზავნონ, თუმცა, ჯერჯერობით ისე გამოდის, რომ ყოველი დანიშვნის შემდეგ რაიონის მაცხოვრებლები წყვეტენ ძველი ხელმძღვანელის ძაგებას და ახალთან შედარებისას ძველს ნოსტალგიით იხსენებენ“.**

http://www.ekhokavkaza.com/content/article/27635934.html

◎ აქტუალური თემა

ამ დიალოგში ყველა დასავლეთელი პარტნიორი გვიჭერს მხარს

ზურაბ აბაშიძის ექსკლუზიური ინტერვიუ რადიო „Voice of America“-სთან

— ბატონო ზურაბ, თქვენი მანდატის ფარგლებში გაქვთ ურთიერთობა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან გრიგორი კარასინთან, რომელიც ერთი მხრივ, ქართულ-რუსული შეხვედრების მონაწილეა, მეორე მხრივ — ჟენევის დისკუსიების თანამონაწილე. უკანასკნელ პერიოდში კი პრეზიდენტმა პუტინმა ის აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ეგრეთ წოდებული სახელმწიფო საზღვრის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების რატიფიცირების საკითხების განხილვისას რუსეთის პრეზიდენტის ოფიციალურ წარმომადგენლად დანიშნა. მიიჩნევთ, რომ ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს კარასინთან მიმართებაში?

— უხერხულ სიტუაციაში გვაყენებს, რა თქმა უნდა, ეს მომენტი, მაგრამ ბევრი სხვა რამეც გვაყენებს უხერხულ სიტუაციაში რუსეთთან მიმართებით. სადაც ხელს არ მოჰკიდებ ქართულ-რუსულ თემატიკას, ძალიან ბევრი ეკლებია ყველგან. ეს ფაქტიც, რა თქმა უნდა, არის ინტერესთა კონფლიქტი. ყველაფერში, რაც შეეხება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, ჩვენს შორის არის რადიკალური სხვაობა პოზიციებს შორის. ამაში ახალი არაფერია. ესაა მთავარი წინააღმდეგობა ჩვენსა და რუსეთს შორის.

— როდესაც შეხვედრისთვის ემზადებით კარასინთან, ყველაზე რთულს რას ელით?

— შიგნით უნდა ჩამოვყალიბდეთ ჩვენ თვითონ. ხელისუფლებისა და ოპოზიციის ხედვები უნდა იყოს ერთიანი. ბოლო ხანს, როდესაც ტარდება პრაღის შეხვედრები, სულ მესმის: ოპოზიციის ერთი ნაწილი თვლის, რომ რუსეთს საერთოდ არ უნდა დაველაპარაკოთ. არის მეორე ნაწილი, ასევე მცირე, ჩემი აზრით, რომელიც ამბობს, რომ კი, უნდა დაველაპარაკოთ, მაგრამ ეს ფორმატი გადახედვას საჭიროებს. მე ვამბობ, კი ბატონო, ძალიან კარგი, მაგრამ ახლა მიაყოლეთ მეორე ნაწილი: რანაირად საჭიროებს გადახედვას? თქვენ ხომ ასე კარგად იცით, კრიტიკა მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ მითხარით, გაგვიზიარეთ თქვენი ცოდნა, თუ, რანაირად საჭიროებს გადახედვას? მეორე ნაწილის თქმა უჭირთ ხოლმე ჩვენს ოპონენტებს და არის ზოგადი განცხადებები იმის თაობაზე, რომ ასე არ შეიძლება, სხვანაირადაა საჭირო და სხვა. ჩვენ ვამბობთ: გვითხარით, რანაირადაა საჭირო? მაგრამ ამას ვეღარ ახერხებენ. ძალიან რთულია რუსეთთან დიალოგი.

— თქვენი მუშაობის პერიოდში შედგა შეთანხმება რუსეთის ავიაკომპანიებთან, ისინი შემოვიდნენ ქართულ ბაზარზე, რასაც მოჰყვა ქართული კომპანიების მხრიდან პროტესტი. რა ეტაპზეა ამჟამად მოლაპარაკებები?

— ეს ისეთი თემაა, რომელიც ხელისუფლების მუდმივი ყურადღების ქვეშაა. რეისების რაოდენობა, კვოტები პარიტეტულადაა გადანაწილებული. 21 რეისის უფლება აქვს კვირის მანძილზე ქართულ კომპანიებს და სამ რუსულ კომპანიასაც — ასევე 21. მაგრამ იქიდან სამი კომპანიაა და ჩვენ ერთი კომპანია გვყავს მხოლოდ. სხვათა შორის, ყველაზე მეტი მგზავრი ქართულ კომპანიებს ჰყავდათ შარშან და რუსეთის მიმართულებით, მგზავრთა ეს რაოდენობა სულ იზრდება და წელს კიდევ მნიშვნელოვნად გაიზრდება. მე ვფიქრობ, მილიონს გადააჭარბებს ტურისტთა რაოდენობა იმის გამო, რომ თურქეთში უკვე აღარ დადიან რუსი ტურისტები. ამ მხრივ შემცირდა კი არა, ფაქტობრივად, გაჩერდა მოძრაობა, ასევეა ეგვიპტეზეც, ასევე ტრადიციულ მარშრუტზე. ვფიქრობთ, რომ ჩვენ ტურისტულ ნაკადს წელს გავზრდით. ეს, ძირითადად, საავიაციო გადაზიდვებით ხდება, მაგრამ სახმელეთო გზით, ჩრდილო კავკასიიდანაც ბევრი ჩამოდის მანქანებით. ჩვენს ტურისტულ ბიზნესს ეს ძალიან წაადგა.

2011 წელს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად ტვირთბრუნვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შვეიცარულ კომპანიას უნდა გაეკონტროლებინა. ამ დრომდე არ მომხდარა ამ ხელშეკრულების იმპლემენტაცია, რაც რუსეთის მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში გაწევრებაზე საქართველოს თანხმობის საანაცვლოდ შედგა სამწლიანი ვადით. რა ვითარებაა ამ მხრივ ახლა? ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ ხელშეკრულება გაგრძელდა.

ახლა ჯერი რუსულ მხარეზეა. მან უნდა დაასრულოს მოსამზადებელი სამუშაოები იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც 2011 წელს დაიდო. ხელშეკრულება ახლა ავტომატურად არის გაგრძელებული. როგორც კი რუსული მხარე იქნება მზად, შეხვდებიან სამუშაო ჯგუფები ერთმანეთს შვეიცარიაში და ამის შემდგომ დაიწყება ეტაპი, ანუ ამ შეთანხმების იმპლემენტაციის ეტაპი.

— ფიქრობთ, რომ ეს შესრულებადი, განხორციელებადი პროექტია?

— ვნახოთ, ვერ გეტყვით, ეს ძალიან არასტანდარტული პროექტია, პრინციპში უპრეცედენტოც.

— რას მიიჩნევთ თქვენს მთავარ გამოწვევად?

— ჩვენ ამ დიალოგის პროცესში მხარს გვიჭერს ყველა ჩვენი დასავლეთელი პარტნიორი. გუშინ აშშ-ის ელჩი გამოვიდა და თქვა, ჩვენ პრაღის ფორმატს მხარს ვუჭერთო, ევროკავშირის ლიდერები, ევროპელი ლიდერები, ვისთანაც ჩვენ გვაქვს ურთიერთობა, ასევე გვუბნებიან: რაოდენ რთულიც არ უნდა იყოს ეს დიალოგი, გააგრძელეთ და თქვენი საქმე გააკეთეთ. პარალელურად, ჩვენ ვცდილობთ პროგრესის მიღწევას ჟენევაში. მაგრამ ვითარება რთულია. ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია და ეს ვითარება ჯერ არ შეცვლილა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუპრესი“

დედამიწის ზურგზე

აშშ ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელმა საიდუმლოდ მოინახულა ისრაელი

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, ადმირალი მაიკლ როჯერსი შეხვდა ისრაელში სამხედრო დაზვერვის წარმომადგენლებს და მათთან ერთად განიხილა თანამშრომლობის პერსპექტივები კიბერნეტიკული დაცვის სფეროში ირანის მხრიდან ანდა ლიბანის რადიკალურ მოძრაობა „ჰისბალახიდან“ თავდასხმის შემთხვევაში .

ლიბიის სანაპირო დაცვამ ასობით მიგრანტს არ მისცა ევროპაში გამგზავრების საშუალება

სამ დიდ ნავში რომლებიც სანაპირო დაცვამ დააკავა ტირროლის დასავლეთში დაახლოებით 600 მიგრანტი იმყოფებოდა. მათ შორის ფეხმძიმე ქალებიც. მათ განზრახული ჰქონდათ, გადაეკვეთათ ხმელთაშუა ზღვა, რათა ევროპაში მოხვედრილიყვნენ. 2014 წლის დასაწყისიდან დაახლოებით 330 ათასი მიგრანტი შევიდა ევროკავშირში ამ გზით, კიდევ ასობით ათასი აპირებს იქ ჩაღწევას.

იანუკოვიჩის თანამებრძოლი ლიდერობს ქრივოი როგში მერის ვადამდელ არჩევნებში

ეკზიტპოლის შედეგების თანახმად, „ოპოზიციური ბლოკიდან“ კანდიდატმა იური ვილკულმა კვლავ გაიმარჯვა კრივოი როგის მერის არჩევნებში. ამჯერად, შარშან გაუქმებული არჩევნებისაგან განსხვავებით, კენჭისყრის მეორე ტური შეიძლება საჭირო აღარ იყოს.

ვენესუელაში აღდგომა მადუროსა და ობამას ჩუჩელების დანვით აღნიშნეს

ვენესუელის პრეზიდენტისა და მისი ამერიკელი კოლეგის გამოსახულებანი ტრადიციული წეს-ჩვეულების — „იუდას დაწვის“ მსხვერპლი გახდნენ. ამ წეს-ჩვეულების ნიმუში შეიძლება იყვნენ სხვადასხვა მოღვაწეები, რომლებმაც აწყენინეს ვენესუელელებს გასული წლის განმავლობაში. პოლიტიკოსებთან ერთად ხალხის რისხვა თავს დაატყდა პროდუქტების სპეკულანტებსაც.

პაკისტანში ტერორისტული აქტის მსხვერპლთა რიცხვი 72 კაცამდე გაიზარდა

ქალაქ ლახორის პოლიციის კოორდინატორმა კაპიტანმა უსმანმა განაცხადა, რომ დაღუპულთა შორის არის 23 ბავშვი, კიდევ 56 ბავშვი მიიყვანეს ქალაქის საავადმყოფოებში. ქალაქ პაიდერის პოლიციის გენერალური ინსპექტორის მოადგილემ პაიდერ აშრაფმა განაცხადა, რომ თვითმკვლელმა ტერორისტმა აიფეთქა თავი ავტოსადგომზე ერთ-ერთი პარკის შესასვლელთან.

უზნეობის გარანტი,

ანუ, უკაცრავად, მაგრამ თქვენ სულ მუდამ გაბრუებული ბრძანდებით, ბატონო პრეზიდენტო?!

გამოძვეყნდა პირადი, კერძო, ინტიმური ცხოვრების მაკოპრომეტირებელი ფარული ვიდეომასალა მაღალი რანგის პოლიტიკოსზე, რაც, უბრალოდ, ამაზრზენია! არავის აქვს უფლება, სხვის პირად ცხოვრებაში ჩაერთოს ასეთი უხამსი ფორმით. საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის ზიზღით უყურებდნენ ჩამშვებ ადამიანებს, არც სხვისი ინტიმური თავგადასავლებით ინტერესდებოდნენ დაშატაჟების მიზნით.

ჩაშვებისა და პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული კადრების მოპოვების ინსტიტუტი მთელი ქვეყნის მასშტაბით, შექმნა მხოლოდ ერთმა კაცმა, ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც ამ მიზნით შემოიკრიბა თავისნაირი უზნეო ადამიანები და ათი ათასობით მსგავსი ვიდეო ფარულად გადააღებინა. ამის გაკეთებას, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, უიმისოდ ვერავინ გაბედავდა, მისი უშუალო დავალებით ხდებოდა არა მარტო ოპოზიციონერთა, არამედ უშუალოდ თავისივე თანაგუნდელთა პირადული ცხოვრების ფარული გადაღებებიც. ეს მას ორი მიზნით სჭირდებოდა – ფარული კადრების ნახვით დაეკმაყოფილებინა თავისი ავადმყოფური სურვილები და დაშანტაჟების გზით სრულიად განეიარაღებინა მისი ავანტურისტული პოლიტიკის მოწინააღმდეგენი.

ამასთან, ყოველი შემთხვევისთვის, თავს იზღვევდა და თავისი გუნდის წევრებსაც არ ინდობდა, მათზეც აგროვებდა სხვადასხვა სახის კომპრომანტებს, უპირველეს ყოვლისა, ფარული ჩანაწერების სახით.

ამავე დროს, თითქმის ყველა აქციის უკან დგანან ნაციონალები, რომლებიც ოდესიდან მიღებულ ექსპრეზიდენტის დირექტივებს ახლაც უსიტყვოდ ასრულებენ მათზე კომპრომატების არსებობისა თუ დაუმსახურებლად და დანაშაულებრივი გზით უპრობლემოდ საკმაოდ დიდი ფულის შოვნის გამო. მოკლედ, საკაშვილსა და მის გუნდს ახლაც კი ქვეყნის თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი დაშანტაჟებული ჰყავს, რაც უდიდეს მორალურ და ეკონომიკურ ზიანს აყენებს ქვეყანას. ამ ასპექტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სუფთა პირადული წარსული ცხოვრების მქონე ადამიანების მოძიებას და მათ ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნას.

დღეს ძალიან ბევრმა ისწავლა ლამაზად ლაპარაკი, წერა-კითხვა, ხალხთან შეხვედრა-საუბრები, გულუხვი დაპირებების გაცემა, სწორი, ყოველმხრივ გამართული, ბრძნული და მიმზიდველი მოწოდება – ლოზუნგების წარმოთქმა. ამაში წუნს ვერ დადებ. მაგრამ მოდით, მაინც ნუ დავუჯერებთ მათ, რადგან მათი საქმიანობა ხშირად, როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება მათივე ლამაზი სიტყვებისგან. ამიტომ არჩევანის გაკეთებისას მათი ლამაზი სიტყვები აუცილებლად შევუჯეროთ მათი ცხოვრების წესს, მამულიშვილობას, განვლილ გზას, ეროვნულ ფასეულობებისადმი დამოკიდებულებას, პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობის შედეგებს. მათი ქონების კანონიერებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის იქნება კორუფცია, ყოველთვის იქნება სიღარიბე, სიღარიბე კი, ვაჟა-ფშაველას თქმით, „განხორციელებული უძლურებაა, გოდებაა, მომასწავებელი ყოველგვარის უბედურებისა, მონობისა, გინა ავაზაკობისა და სხვა გვარის ბეჩაობისა“.

ქართველ კაცს უთქვამს: რას არ იტყვის კაცის ენა, რას არ გაიგონებს კაცის ყურიო. მართალი გითხრათ, ამ აბურდულ ცხოვრებაში თუ კიდევ რაიმე გასაკვირს გავიგონებდი, ნამდვილად არ მეგონა, მაგრამ, რაც ცხოვრების ამსახველი კადრების ჩვენების შემდეგ, ჩვენმა უდღეო პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა თქვა, ნამდვილად გამაოგნა:

„სექსი და სექსუალური ცხოვრება – განაცხადა მან, არ არის სამარცხვინო. მე პირადად მაქვს სექსუალური ცხოვრება; მქონია სექსუალური ცხოვრება ძალიან მდიდარი და მექნება კიდევ მომავალში და იცოდეთ, ყოველთვის დაგიცავთ თქვენ“, ამ სიტყვებით დაიწყო მან გამოსვლა და დაამატა: პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების პროცესს ყოველთვის მოვაშორებ შავბნელ სტიგმასო.

ეს შემთხვევა კომენტარსაც არ საჭიროებს, მაგრამ საკითხავია, მრჩევლები კოჟორიძე და ჩიხრაძე პრეზიდენტს ტყუილად ჰყავს? მართალია, არც მათ უსკდებათ „ბაშკა“ ცოდნით, მაგრამ ის მაინც ეცოდინებოდათ, რომ ერის წინაშე ასეთი გამოსვლა სამარცხვინოა (ისე „მემარჯვენეები“, ფიქრია ჩიხრაძის ჩათვლით, გაქანებული ნაციონალები გამოდგნენ).

სამარცხვინოა, როდესაც „რუსთავი-2“-ის არხზე და სხვა არხებზეც მეტად საეჭვო რეპუტაციის რესპონდენტებს გამუდმებით ვიწვევთ და ვეკითხებით, სიყვარულის გარეშე სექსი გაქვთ თუ არადა, რამდენი მამაკაცი გამოიცვალეთო (?!). ელინისტური ეპოქის მეცნიერი და ეპიკოსი პოეტი აპოლონიოს როდოსელი „არგონავტებში“ აღნიშნავს სამარცხვინო ფაქტს, რაც არგონავტებმა იხილეს მოგზაურობის დროს: **„ხოლო ჩვენ რასაც ვაკეთებთ ჩუმად, საკუთარ სახლში თუ სარეცელში, ახდენენ გარეთ, შუა ქუჩაში საჯარო კიცხვის არ ეშინიათ... დაგორდებიან და ეძლევიან საყოველთაო სიამოვნებას“.**

ბატონო პრეზიდენტო, რაც შეეხება მეუღლეთა შორის სქესობრივ ცხოვრებას, რა თქმა უნდა, ეს სამარცხვინო არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ქვეყანას არც თქვენ მოევლინებოდით, არც წკრიალაშვილი, გრიგოლია, გიგაური, ლომჯარია, კოჟორიძე, ნაცვლიშვილი და არც არავინ. შესანიშნავად თქვა ბატონმა თამაზ წივწივაძემ: **„კი, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტს სექსი, მეუღლის გარდა, კიდევ ვისთან უნდა ჰქონდეს?! თუ აქ იმას გულისხმობდით, მდიდრული სექსი მეუღლესთან მაქვსო, ეს ოჯახიდან გარეთ გამოსატანი ამბავი არ გახლავთ – არ შეიძლება ნორმალური ქმარი ცოლთან სექსით მთელი ქვეყნის წინაშე თავს იწონებდეს! ხოლო თუ ოჯახს გარეთ სექსს გულისხმობდით, ეს კიდევ უფრო დიდი უბედურებაა“.**

მოკლედ, ასეა თუ ისე, პრეზიდენტის განცხადებას გულმხურვალედ გამოეხმაურა „დრო და ჟამის ნარნარი ქმნილება“ ინგა გრიგოლია: **„მე ინგა ვარ გრიგოლია – ქალი, შვილი, დედა, და, მეგობარი, მყავს არაჩვეულებრივი შეყვარებული, მაქვს სექსი, და ასეც ვაპირებ გავაგრძელო ჩემი ცხოვრება. ხოლო თქვენ კი, ვინც ჩემი პირადი ცხოვრების გასაჯაროებით მემუქრებით და მოითხოვო, რომ ქვეყანა დავტოვო, პირობას გაძლევთ, თავს შევაკლავ ჩემი და სხვა ადამიანების უფლებების დაცვას და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ცხენში მრავალი წლით აღმოჩნდეთ ამ კადრების გადამღებიც და განმახორციელებელიც“**

ქალბატონო ინგა, ამის მერე მეტი რანაირად უნდა გავასაჯაროოთ თქვენი ცხოვრება ახლა იმ ასაკში არ ბრძანდებით, რომ საინტერესო იყოს საყვარელთან თქვენი ცხოვრების დეტალების ყურება. როდესაც ტელემაყურებელთან ასე საუბრობთ, ცოტა უნდა დაფიქრდეთ, გაითვალისწინოთ ჩვენი ხალხის მენტალიტეტი, ტრადიცია, წეს-ჩვეულება, ერის ფასეულობითი სისტემა.

უკვე რამდენიმე წელია, იძახით – საყვარელი მყავსო. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ, მაგრამ ცოტა ხანში 50 წლისა გახდებით და მეტი სერიოზულობა გმართებთ. ალბათ, გეხსომებით, ამ რამდენიმე წლის წინათ, ჟურნალი „ფლეიბოის“ პირველი ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით გადაცემა მოაწყვეთ და იქაც იგივე გაიმეორეთ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მაყურებელს შეჰპირდით რომ მეორე შვილს აუცილებლად გააჩენდით უმამოდ და ქართველ ქალებსაც მოუწოდეთ, უმამოდ გაეჩინათ შვილები, თანაც არ დაიკონკრეტეთ არც ქალების ასაკი, არც მათი ქორწინებითი მდგომარეობა და სხვა ფაქტორები, რომლის დროსაც შეიძლება ქალმა ასეთი ნაბიჯი გადადგას.

ამ საკითხზე „ქუჩაში აკრეფილი სწავლა-განათლებით“ გვმოძღვრავს ნინა წკრიალაშვილი, რომელსაც თურმე ხელმძღვანელ თანამდებობაზე კულტურის სამინისტროში უმუშავია: **„თქვენ რომ იცოდეთ, ქორწინება რა მოსაწყენია და როგორ აფუჭებს ეს შტამპი ქალისა და კაცის ურთიერთობას... ქალები და კაცებიც აღარ დაქორწინდებოდნენ“.** ძველი „დამსახურებისათვის“ მას, თუ არ ვცდები „რუსთავი-2“-ის არხზე, გადაცემა „გარდერობიც“ მიჰყავს. სიმართლე გითხრათ, ნორმალური ქალბატონი წკრიალაშვილს თავის გარდერობში არც შეახედებს. გრიგოლიასა და წკრიალაშვილს კაცმა რომ უსმინოს, რამდენიმე ათწლეულში ქართველთა სახსენებელიც არ იქნება.

ბატონო პრეზიდენტო, იქნებ ხალხმა რომ არ იმკითხაოს, დაგვდოთ პატივი და თქვენ თვითონ გვითხრათ, რას გულისხმობთ გამოთქმაში – **მაქვს დიდებული სექსიო.** როგორც ჩანს, ყველა მოკვდავ ქართველს ამის ბედნიერება არა აქვს. ძველი საბერძნეთის უდიდესი მოაზროვნე დემოკრიტე აღნიშნავდა: სქესობრივი კავშირი ხანმოკლე გაბრუებაა.

თქვენ რა, ბატონო პრეზიდენტო, როდესაც ამბობთ სექსი მაქვს და თანაც დიდებულიო, **სულ მუდამ გაბრუებული ბრძანდებით?** მართალი გითხრათ, აღარ მიკვირს, პარლამენტიდან თუ მთავრობიდან მიღებულ დოკუმენტებს ვიზის მიცემის ნაცვლად, ყველას რომ ვეტოს ადებთ. ტყუილად არ დამიწერია თქვენდამი მიძღვნილ ერთ-ერთ წერილში ნეტარსახსენებელი პოლიკარპე კაკაბაძის სიტყვები: **„ეჰ, ზოგის ტანი იზრდება და ზოგის – ჭკუა“.**

ანზორ თოთაძე,
პროფესორი, დემოგრაფი

> **გვირგვინი უფლის განაჩენია,**
> **ისევე როგორც სალხის ქირქილი,**
> **ყველა უთავოს რად ურჩევნია –**
> **თავის მაგიერ ედგას გვირგვინი?**
> **გვირგვინი, როგორც დრომაც გვიჩვენა,**
> **შეშვენის მხოლოდ ჭკუით ფალავანს.**
> **ზოგს უნდა თავის გამოსაჩენად.**
> **ზოგს – უთავობის დასაფარავად“.**
>
> ზოზია ნიშნიანიძე

საბავშვო ბაღებში ფალსიფიცირებული რძის პროდუქტი შეჰქონდათ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ფალსიფიკაციის ფაქტზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა რძის პროდუქტების მწარმოებელი და რეალიზატორი საწარმოების – შპს „ნამდვილი პროდუქტები“-ს, შპს „ამირანი XXI“-ს და შპს „ჯი ეს ენ“-ის ხელმძღვანელები და თანამშრომლები თევდორე გარიშვილი, კონსტანტინე შარვაშიძე, ნინო გიორგაძე, ნინო ბერაია, სერგო ჩარგეიშვილი და ავთანდილ გაგუა.

გამოძიებით დადგენილია, რომ აღნიშნულ საწარმოთა ხელმძღვანელ პირებებს, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვების საფუძველზე ჰქონდათ ვალდებულება, ქალაქ რუსთავში მოემარაგებინათ საბავშვო ბაგა-ბაღები რძის ნაწარმით. ბრალდებულები, შემოსავლის გაზრდისა და დანახარჯის შემცირების მიზნით, რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დარღვევით, იაფფასიანი მინარევების გამოყენებით აწარმოებდნენ ფალსიფიცირებულ კარაქს და უწევდნენ რეალიზაციას საბავშვო ბაგა-ბაღებში. გარდა ამისა, სხვადასხვა სპრედების ერთმანეთში გადარევის გზით, ბრალდებულები იღებდნენ უხარისხო პროდუქციას, აფასოებდნენ როგორც ნამდვილ ნაღებ კარაქს და ამარაგებდნენ რუსთავის ათეულობით საბავშვო ბაგა-ბაღს. საგამოძიებო სამსახურის მიერ არაერთი საბავშვო ბაღიდან და ხსენებული საწარმოებიდან ამოღებულია ფალსიფიცირებული პროდუქცია, რაზედაც ჩატარდა ექსპერტიზა და კარაქში ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, რძის ცხიმის შემცველობა აღმოჩნდა მცირე და იგი ნაწარმოები იყო სხვა იაფფასიანი მცენარეული ცხიმებისაგან. დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 დან 3 წლამდე.

ხელვაჩაურში მურმან დუმბაძის ძმის სახლი გაქურდეს

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა სამებაში კვირაღამით მომხდარ ქურდობის ფაქტებზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

დაფიქსირდა ქურდობის სამი ფაქტი და გამოძიება სამივე შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს. პარლამენტის წევრმა მურმან დუმბაძემ დაადასტურა, რომ ერთ-ერთი ოჯახი, რომელიც გაქურდეს, მისი ძმის გურამ დუმბაძის სახლია. დეპუტატის ინფორმაციით, მისი ძმის სახლიდან წაღებულია ლეპტოპი და ხანჯალი. მისივე თქმით, ერთ მეზობელს მანქანა მოტაცეს, მეორე მეზობლის სახლიდან კი თანხაა წაღებული. ამასთან, დუმბაძის ინფორმაციით, ქვედა სამებაში კვირაღამით სულ 8 ოჯახი გაქურდეს.

ცვლილება

ქუთაისი-ალპანა-მამისონის საავტომობილო გზის, ნამოხვანი-ალპანას მონაკვეთის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვის დანიშვნის თაობაზე, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ს 22 მარტის ნომერში გამოქვეყნებული განცხადების პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2016 წლის 16 მაისს, 14 საათზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. №25), ხოლო 2016 წლის 17 მაისს 12 საათზე, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №64) გაიმართება ქუთაისი-ალპანა-მამისონის საავტომობილო გზის, ნამოხვანი-ალპანას მონაკვეთის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

სს „ნამოხვანი“-ს ადმინისტრაცია

◎ ძიუდო

შვიდი მედალი და გუნდური პირველი ადგილი

ასეთი შედეგით დაასრულა საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრებმა ასპარეზობა ახალ სპორტის სასახლეში გამართულ თბილისის დიდ პრიზზე. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ვაჟა მარგველაშვილი (66) და ნუგზარ ტატალაშვილი (73), ფინალური პაექრობა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა ლევან გუგავა (81), ხოლო ამირან პაპინაშვილს (60), ფრიდონ გიგანს, ლაშა შავდათუაშვილსა (ორივე – 73) და ბექა ღვინიაშვილს (100) „ბრინჯაოები“ ერგოთ.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში შესანიშნავად იჭიდავა მარგველაშვილმა, რომელმაც მრავალფეროვანი ფანდებით მოხიბლა მაყურებელი, პირველი ადგილი დაიკავა და 300 სარეიტინგო ქულაც დაიმსახურა, რითაც, ფაქტობრივად, რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიას მიუახლოვდა. პირველ წრეში მას საუდის არაბეთის ნაკრების წევრი სულეიმან ჰამადი არ გამოუცხადდა, მეორეში უკრაინის სახელით მოჭიდავე ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონს, პირველ ნომრად განთესილ გიორგი ზანთარაიას წუთსა და 47 წამში იპონით სძლია, შემდეგ თურქი შინან შანდალი და ებრაელი ტალ ფლიკერი ჩამოიშორა გზიდან, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი იტალიელ ფაბიო ბაზილეს ვაზარით მოუგო და გრან პრის ოქროს მედალს კარიერაში პირველად დაეუფლა.

თბილისურ ტურნირზე მეორე ნომრად განთესილმა ამირან პაპინაშვილმა მეოთხედფინალი ყირგიზეთის ნაკრების წევრ ოთარ ბესთაევთან (წარმოშობით – გორელი) გონგამდე 5 წამით ადრე დათმო. რეპეშაჟში ამირანმა ბულგარელ იანისლავ გერჩევსა და საქართველოს ნაკრების ყოფილ წევრს, ამჟამად თურქეთის სახელით მოჭიდავე ბექირ ოზლუს (ბეთქილ შუკვანს) აჯობა და ბრინჯაოსთან ერთად სარეიტინგო 120 ქულაც ერგო.

73 კილოგრამ წონით კატეგორიაში ერთბაშად სამი ქართველი ავიდა კვარცხლბეკზე: პირველ ნომრად განთესილმა ტატალაშვილმა ხუთივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო: ჯერ კვიპროსელ ანდრეას კრასას და უზბეკ მირალი შარიფოვს გაფრთხილებებით სძლია, ბრაზილიელ მარსელო კონტინის და ბერძენ გეორგიოს აზოიდისს იპონებით აჯობა, ფინალში კი მონღოლი ოდბაიარ განბაატარი შებოჭა, რომელმაც ფრიდონ გიგანსა და ლაშა შავდათუაშვილს გადაულობა ოქროსკენ მიმავალი გზა. სამაგიეროდ, ორივე ქართველმა ძიუდოისტმა მესამე ადგილი დაიკავა, ისევე, როგორც 100 კილოში ბექა ღვინიაშვილმა.

საქართველოს ნაკრებს ვერცხლის მედალი 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლევან გუგავამ მოუტანა: პირველ წრეში ლიტველი რამუნას დიბურისი დაამარცხა, მერე მის გზას გაუყენა უნგრელი შაბოლც კრიჟანი და თურქეთის სახელით მოჭიდავე ამირან იანვარაშვილი (ემირჰან იუსელი), მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში პირველ ნომრად განთესილ ბულგარელ ივაილო ივანოვსა და ბერძენ რომან მუსტოპულოსს აჯობა, მაგრამ გადამწყვეტი პაექრობა რუსეთის ნაკრების წევრ ალან ხუბეცოვთან დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

სტუმრების შანსი

ყაზახეთთან შეხვედრა შეიძლება რიგით ფაქტად ჩაგვეთვალა, რომ არა ერთი ნიუანსი: დღევანდელ ამხანაგურ მატჩში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს პირველად უთავკაცებს ახალი სლოვაკი მწვრთნელი ვლადიმერ ვაისი, წარმატებული დებიუტი კი, დაგვეთანხმებით, რაღაცას ნიშნავს. სპარინგი „დინამო არენად“ გადანათლულ ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე 21 საათზე დაიწყება.

უკვე გაუწყეთ, რომ „ჯვაროსნებს“ სან-მარინოსთან იღბლიანი ბურთაობის შემდეგ ახალგაზრდული ნაკრებიდან ერთბაშად სამი ჭაბუკი – აბურჯანია, დვალი და კაჭარავა დაემატა. არ არის გამორიცხული, მათთან ერთად განაცხადში ქვეყნის 19-წლამდელთა ნაკრების წევრებიც მოხვდნენ, რომლებმაც ამ დღეებში სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზეს და ჯგუფის ფავორიტ ესპანეთთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ბრძოლა სტუმრად ფრედ – 1:1 დაასრულეს.

გიორგი ზოთაძე

◎ ოცი წლის შემდეგ

აქ დღეს ველოდი, მოვესწარ...

1995-1996 წლების საკალათბურთო სეზონმა ქართველ ქომაგებს ტკბილად მოსაგონარი „ძლევაი საკვირველი“ დაგვიტოვა, როცა იმ შავბნელ პერიოდში ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონმა თბილისის „ვითამ“ ერთ-ერთ პოპულარულ ევროტურნირში – კორაჩის თასის გათამაშებაში უნგრულ „კიორმენდს“ ბოლო წუთზე 9-ქულიანი ჰანდიკაპი ამოუქაჩა. მაშინდელი სასწაული მნიშვნელოვანწილად გია სანაძის ორი ზუსტი სამქულიანითა და ლევან ქარაბაკის გადამწყვეტი ნახევარკაუჭით (ე.წ. ლიპსოს სტილში ტყორცნა) გამოცხვა.

„ვითას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და დაარსებიდან უცვლელი პრეზიდენტი თემურ დათიკაშვილი, ალბათ, ვერც წარმოიდგენდა, რომ მისივე ინიციატივით აღდგენილი პოპულარული კლუბი დაახლოებით ანალოგიურ ზღაპრულ გამარჯვებას 20 წლის შემდეგაც მოიპოვებდა.

ეს აღსანიშნავი ფაქტი ჩვენი დედაქალაქის ახალ სპორტის სასახლეში მოხდა, სადაც „ვითიბის“ გაერთიანებული ლიგის 27-ე ტურში ანდრის მაზურსის გაწვრთნილი გუნდი ზედიზედ 26(!) მარცხის შემდეგ მინსკის ცმოკ-ს მასპინძლობდა.

მართალია, სტუმართა ღირსებას ბელარუსის ნაკრების წევრები კუდრიავცევი და ულიანკო, ასევე ამერიკელი სნაიპერები გრეი და ჰილარდი იცავენ, მაგრამ ამან ტურნირის აუტსაიდერის ბრძოლისუნარიანობაზე პირიქით – დადებითად იმოქმედა. სასიამოვნოა, რომ საბოლოოდ ეს ტაბლოზეც შესაბამისად აისახა – 81:80, რაც ბეჟერანოს (21 ქულა), ჰენრის, ჩლაიძისა და წივწივაძის ძალისხმევით მოხერხდა. დავძენთ, რომ „ვითა“ საფინალო სასტვენამდე 2 წუთითა და 32 წამით ადრე ამჯერადაც 9 ქულით ჩამორჩებოდა მეტოქეს (69:78).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

ისევ „ვერცხლი“

ლისაბონში დამთავრდა 18-წლამდელ მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატი. შარშან ელიტდივიზიონის მსგავს ტურნირში ქართველმა მორაგბეებმა მეორე ადგილი დაიკავეს: მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში, შესაბამისად, ირლანდიასა და იტალიას სძლიეს, გადამწყვეტი პაექრობა კი ფრანგებთან დათმეს – 0:57. წლევანდელ ჩემპიონატში მონაწილეობაზე ირლანდიის, ინგლისის, უელსის, შოტლანდიისა და იტალიის ასაკობრივმა ნაკრებებმა უარი განაცხადეს.ამდენად, საფრანგეთს, საქართველოს და პორტუგალიას რუმინეთი, რუსეთი, გერმანია, ესპანეთი და ბელგია დაემატნენ.

ტურნირი, ტრადიციულად, სამ ეტაპად გაიმართა. საქართველოს 18-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა 2016 წლის ევროპის ჩემპიონატი რუმინეთთან შთამბეჭდავი გამარჯვებით დაიწყო: 7 ლელო და 49:10 – ასეთია მეოთხედფინალური მატჩის შედეგი. ამ ასაკში ჩვენს ბიჭებს კარგა ხანია, რუმინელებთან არ უთამაშიათ, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, საქართველო ელიტაში ასპარეზობდა, კარპატელები კი საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვას ვერ ახერხებდნენ. უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ მეტოქეს აჯობეს როგორც ძალისმიერ, ასევე, ხელდახელ თამაშში. ამავე დღეს პორტუგალიამ გერმანიას გადაურბინა – 64:5, ფრანგებმა ესპანელები დაჯაბნეს – 56:14, ხოლო ბელგიამ რუსეთს მოუგო – 8:6.

საქართველოს ნაკრებმა ნახევარფინალში მასპინძელი პორტუგალია 29:10 დაამარცხა, მოქმედმა ჩემპიონმა საფრანგეთმა კი ბელგიას სძლია – 62:3. ფინალში ჩვენები ისევ ფრანგებს შეხვდნენ. უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ მღელვარებას ვერაფერი მოუხერხეს, შეცდომები დაუშვეს და ამისათვის ღელოებით დაისაჯნენ. შედეგად, ანგარიში ძალიან სწრაფად გაიზარდა, საქმეში ნერვებიც ჩაერთო და მეორე ტაიმში გიორგი ნარიმანიძე წითლით, ხოლო მატჩის მიწურულს ლუკა აზარიაშვილი სინბინით დაისაჯა. უნდა ვაღიაროთ, რომ საფრანგეთის ნაკრების წევრების კლასი ბევრად უფრო მაღალია, ამიტომაც ტაიმი 0:35, ხოლო მატჩი 0:42 დავთმეთ და კვლავ მეორე ადგილზე გავედით. საქართველოს 18-წლამდელებმა პორტუგალიაში ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ბექა მამუკაშვილი, გიორგი ნარიმანიძე, სანდრო სვანიძე, ლუკა მარგიანი, ივანე კალანდაძე, გელა აფრასიძე, ელგუჯა კიკვაძე, გურამ გოგიჩაშვილი, თენგიზ ზამთარაძე, ჯაბა შათირიშვილი, ბექა საღინაძე, ლაშა ჯაიანი, სანდრო მამამთავრიშვილი, თენგიზ გიგოლაშვილი, არსენ მაჩალაძე, გიორგი ნუცუბიძე, ლევან პაპიძე, ლუკა აზარიაშვილი, გიგა გრიგალაშვილი, ალექსანდრე კალმახელიძე, იოსებ ხეთაშვილი, გიორგი წიკლაური, კოტე ხამაშურიძე, თორნიკე ჯალაღონია, საბა ხურცილავა.*

ლექსო ცინცაძე

◎ SOS!

როცა დუმილი დანაშაულია

ნიკა ამაშუკელი, მორაგბეთა ახალგაზრდა ქართველი მსაჯი, რომელმაც შოთა თევზაძესთან ერთად ევროპაში ფანჯარა გაჭრა და რამდენიმე საერთაშორისი ტურნირი იმსაჯა, გუშინ ანდორაში უნდა გაფრენილიყო, სადაც 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის Conference 1-ის თამაშები უნდა ემსაჯა.

ის იქ მთავარ მსაჯად იყო მიწვეული, მაგრამ კვირას ფოთში „ბათუმისა“ და „არმიის“ მატჩის (21:21) შემდეგ მომხდარი ინციდენტის გამო ახლა ფეხზე სამი ნაკერი ადევს და ლოგინში წევს. მოგვიანებით ამაშუკელი მსოფლიო თასის „ალაფაზე“ უნდა გაემგზავროს და იმედია, მანამდე ის შეძლებს ჭრილობის მოშუშებას, რადგან ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველი „მსოფლიო რაგბის“ მიერ ორგანიზებულ ტურნირს იმსაჯებს.

ახლა ცოტა წარსულს გადავხედოთ და აღმოვაჩენთ, რომ წლების წინათ ქართული რაგბი დიდი საშიშროების წინაშე იდგა. მიზეზი მარტივია – მსაჯობა არავის სურდა და ძველი თაობის მსაჯებს ასაკი მალე კარიერის დასრულებას აიძულებდა. შედეგად, დადგებოდა დრო, როდესაც მსაჯი ფიზიკურად აღარ გვეყოლებოდა, მის გარეშე კი თამაშები უბრალოდ ვეღარ ჩატარდებოდა. საქართველოს რაგბის კავშირმა სიტუაციის გამოსწორების მიზნით ამ პროფესიით ახალგაზრდების დაინტერესება დაიწყო და ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი უმაღლეს დონეზეა, მაგრამ რაოდენობის მხრივ სიტუაცია მნიშვნელოვნად გამოსწორდა.

ვერც იმას ვიტყვით, რომ მსაჯები რომელიმე გუნდის წინააღმდეგ მიზანმიმართულად იბრძოდნენ, უბრალოდ, ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდნენ. პარალელურად, მათ მიმართ აგრესია ნელ-ნელა იზრდებოდა და ყოფილა შემთხვევა, როდესაც გინებისგან გაბეზრებული მსაჯი ტრიბუნაზე არბოდა შეურაცხმყოფელისთვის პასუხის გასაცემად. მსგავსი შემთხვევები ბევრი იყო, მსაჯები ცდებოდნენ და მათ აგინებდა ყველა – ისინი ვინმეს მხარეს კი არ იჭერდნენ, ცდებოდნენ და, შესაბამისად, თუ თამაში დაძაბული იყო, აგინებდა ორივე გუნდის გულშემატკივარი თუ წარმომადგენელი.

შედეგად, ახალგაზრდა ბიჭები კონტროლს კარგავდნენ და კიდევ უფრო მეტ შეცდომას უშვებდნენ. ნაწილი მსაჯობას თავს ანებებდა, ახლა კი მსაჯს სტადიონის გარეთ დახვდნენ და სამაგალითოდ რომ დასჯილიყო, მარტო ცემა არ აკმარეს...

ეს ამბავი თავად ხომ საგანგაშოა და კიდევ უფრო საგანგაშო ისაა, რომ ყველა დუმს – რაგბის კავშირი, კლუბების წარმომადგენლები, თავად დაზარალებული – არავინ აკეთებს კომენტარს, უფრო მეტიც, ამბობენ ნამატჩევს, 80 წუთი ნარბენი მსაჯი, რატომღაც კიდევ ხურდებოდა და ბლაგვ საგანზე დაეცაო. ამის გჯერათ?..

იმასაც ამბობენ,სეზონის მიწურულს საქართველოს ჩემპიონატში დიდი აღებ-მიცემობა გაჩაღდა, „არმიის“ „ჩაძირვა“ იგეგმება და ეს ინციდენტიც ამის შედეგიაო. ერთ ცუდ საქმეს მეორე მოჰყვა, მერე – მესამეც, ყველა დუმს და ხმას არავინ იღებს, საქმეც ალბათ მიფუჩეჩდება და შედეგად, რაგბი, რომელიც „ჩვენი თამაშია“, ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება...

კობა კობახიძე

◎ სარედაქციო ფოსტიდან

გამოჩნდება შუქი გვირაბის ბოლოს?

რედაქციაში შემოვიდა წყლულეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს“ სააგარაკო დასახლების მცხოვრებთა წერილი. ადრესატები არიან საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი მიხეილ ბოცვაძე და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქობულია. გთავაზობთ წერილის ტექსტს.

მთელი ეს ისტორია იწყება ჯერ კიდევ 2000-იანი წლებიდან. მან ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს“ სააგარაკო დასახლების ცხოვრება, რომელიც თეთრიწყაროს რაიონის წყლულეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, ნამდვილ წამებად აქცია. ხდებოდა ხოლმე, რომ ხალხი თვეობით უშუქოდ რჩებოდა. ელექტრობას ხან რთავდნენ – ხან თიშავდნენ. როდესაც ქვეყანაში საერთოდ უწესრიგობა სუფევდა, ეს არც უნდა გაგვკვირვებოდა, მაგრამ ახლა ხომ, როგორც ამბობენ, ყველაფერი, თითქოს, წესრიგში მოდის. ან უკვე მოწესრიგდა კიდეც! მაგრამ, ვაი რომ, არა ჩვენთან!

ჩვენი აგარაკები მცხეთისა და თეთრიწყაროს რაიონის ერთ-ერთი დაშორებული წერტილის ზედ საზღვარზეა. იმას, რომ წერტილი დაშორებულია, ჩვენი სააგარაკო დასახლების მცხოვრებლები შეიძლებოდა შერიგებოდნენ, რომ არა მუდმივი პრობლემები ელექტროენერგიასთან დაკავშირებით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თეთრიწყაროს რაიონის ხელმძღვანელები და ელექტროგამანაწილებელი კომპანიის ადგილობრივი წარმომადგენლები თავგზას გვიბნევდნენ შუქით, როგორც ბოშებს მზით: საითაც სჭირდებოდათ, იქით ატრიალებდნენ, რამდენიც უნდოდათ, იმდენ თანხას ახდევინებდნენ ხალხს.

იყო დრო, როდესაც ელექტრიკოსები ყოველთვიურად მოდიოდნენ და აგარაკის მოსახლეობიდან კრეფდნენ გარკვეულ თანხას (ჯერ 5-5, შემდეგ კი 10-10 ლარს). შემდეგ ამ პრაქტიკაზე მათ თავად თქვეს უარი. ამას ხსნიდნენ იმით, რომ ყოველთვის შორ გზას გავდივართ, არ გვაქვს ფული ბენზისთვისო, და ეს მათთვის არ იყო ხელსაყრელი.

მაშინ ფულის შეგროვება შუქისთვის თავად მოაგარაკეებმა დაიწყეს. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ისინი ამას წარმატებით ართმევდნენ თავს.

მაგრამ 2008-2009 წლებში დასახლების მცხოვრებთა შორის გაჩნდა უთანხმოება – ვის და რამდენი უნდა გადაეხადა დენისათვის (კრეფდნენ თანხებს 40, 50, 60, 70 ლარის ოდენობით).

მოგვიანებით, 2010 წელს, მოაგარაკეებმა დამოუკიდებლად, საკუთარი ფულით იყიდეს და დააყენეს ელექტრომრიცხველები – რომ ყველამ იცოდეს, თუ რამდენი უნდა გადაიხადოს დახარჯული ელექტროენერგიისათვის. საქმე თითქოს მოწესრიგდა, მაგრამ... მართალია, ხალხმა მრიცხველები კი დააყენა, გადასახდელის საერთო ციფრს მაინც ერთიანი მრიცხველი იძლეოდა.



ბუნებრივია, რომ ინდივიდუალური და საერთო მაჩვენებლები თანხაში ხშირად ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ახლა, ექვსი წლის შემდეგ, ჩნდება ეჭვი, რომ თეთრწყაროელმა ელექტრიკოსებმა (რომლებსაც, სხვათა შორის, ამ აქციაში აბსოლუტურად არანაირი მონაწილეობა არ მიუღიათ) გადაწყვიტეს გამოეყენებინათ ეს ფაქტი თავიანთი ანგარების მიზნით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვიღაცას მოსწონდა ეს გაურკვევლობა და ძალიან არ უნდოდათ, დაეყენებინათ სააგარაკო დასახლებაში ოფიციალური ინდივიდუალური მრიცხველები. როგორც იტყვიან ხოლმე, მღვრიე წყალში უფრო იოლია თევზის ჭერა...

ბუნებრივია, რომ სააგარაკო დასახლების მცხოვრებლებმა იმედით აღიქვეს ცნობა იმის შესახებ, რომ კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯია“ აპირებს 2012 წელს დააყენოს დასახლებაში თავისი, ესე იგი ოფიციალური ინდივიდუალური მრიცხველები. უკეთესი რა უნდა ყოფილიყო: ამიერიდან არავინ იქნებოდა დამოკიდებული მეზობელზე და ფულს დახარჯულ ელექტროენერგიაზე თითოეული გადაიხდიდა თავისთვის. მაგრამ ასე როდი ყოფილა! მალე გაირკვა, რომ „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ მრიცხველების დაყენების გრაფიკი მოაგარაკეების დასახლებაში გადაიტანა „სამშობლოდან“ ჯერ 2014 წლისთვის, შემდეგ – 2015 წლისთვის, მერე... კვლავ გაჩნდა პრობლემები, მით უმეტეს, რომ ერთიანი მრიცხველი, რომელიც აფიქსირებდა სააგარაკო დასახლების მცხოვრებთა საერთო მაჩვენებლებს, მოულოდნელად გაქრა – იგი უბრალოდ მოიპარეს ჯერ კიდევ შარშანწინ ზამთარში. მრიცხველის უქონლობის გამო თეთრწყაროელმა ენერგეტიკოსებმა 2015 წლის ზაფხულის ბოლოს დახარჯული ელექტროენერგიისათვის დაიანგარიშეს ვალი 480 ლარის ოდენობით. ვალი, რასაკვირველია, გადაიხადეს, თუმცა საკითხები კვლავ დარჩა: საიდან გაჩნდა ეს თანხა, თუ მრიცხველი მოპარულია?

2015 წლის დასაწყისში ჩვენი აქტივისტები კვლავ იყვნენ კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიაში“, სადაც ისინი დაარწმუნეს, რომ შემოდგომისთვის დასახლებაში მრიცხველები აუცილებლად იქნება. ვაი, რომ, ასე არ მოხდა! ეს მრიცხველები როგორც არ ყოფილა – არც ახლაა.

სხვათა შორის, თურმე, გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან არის: გადაუხდი ვისაც საჭიროა – და დენი იქნება! დასახლების ერთ-ერთი მცხოვრები, რომელსაც მობეზრდა ყველა ეს უსიამოვნებანი, სწორედ ასეც მოიქცა. და მას ყველაფერი გამოუვიდა. ჩამოვიდნენ ელექტრიკოსები რაიონული ცენტრიდან და იქვე დააყენეს ინდივიდუალური მრიცხველი. ბუნებრივია, აღარანაირი პრობლემა შუქთან დაკავშირებით მას ახლა აღარ გააჩნია. ყველა დანარჩენს, მათაც კი, ვისაც რეგულარულად შეჰქონდა გადასახადი ელექტროენერგიისათვის, ისღა დარჩენიათ, რომ მწუხარებით უმზირონ განათებულ ფანჯრებს. მაგრამ ნუთუ ეს არის ერთადერთი საშუალება – დააყენონ ინდივიდუალური მრიცხველები სააგარაკო ნაკვეთზე?!

წლევანდელი მიწათმოქმედების სეზონი ძალიან ახლოა. ბევრმა მოაგარაკემ უკვე დაიწყო მუშაობა თავის ნაკვეთზე. სახელმწიფოს, როგორც შეუძლია, ეხმარება – მიწის ნაკვეთების მფლობელებს გამოუყო გარკვეული თანხა სასუქების შეძენისათვის. მაგრამ მოაგარაკენი „სამშობლოს“ დასახლებიდან ძველებურად უშუქოდ სხედან. „ენერგო-პრო ჯორჯიას“ თანამშრომლები, რომლებიც დაჰპირდნენ, დაეყენებინათ სააგარაკო დასახლებაში მრიცხველები ხან გაზაფხულზე, ხან ზაფხულში, ხან შემოდგომით, კვლავ ჭიმავენ დროს.

ჩნდება შეკითხვა: როდემდე გაგრძელდება ასე?

საიდუმლო როდია, რომ ოფიციალური მრიცხველები დიდი ხანია, დაყენებულია ქვეყნის ყველაზე მივარდნილ ადგილშიც კი. აქ კი, დედაქალაქიდან 20 და რაიონული ცენტრიდან 80 კილომეტრში, ამ პრობლემის გადაწყვეტა ვერა და ვერ მოხერხდა! ბოლოს და ბოლოს, მართლაც როდემდე გაგრძელდება ასე?

თეთრიწყაროს რაიონის წყლულეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს“ სააგარაკო დასახლების მცხოვრებთა ჯგუფი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია დიდ მწუხარებაში თანაუგრძნობს კოლეგასა და მეგობარს დავით ჭელიძეს ძვირფასი დის

მარინა ჭელიძის

გარდაცვალების გამო.

ყალბი ფულით ჩოხატაურში თხილს ყიდულობდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი კვიჭიძე გ. და 1977 წელს დაბადებული, ასევე წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ღამბაშიძე გ. დაბა ჩოხატაურში, ჯგუფის მიერ ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას 31 ცალი ყალბი 20-ლარიანი და 6 ცალი ყალბი 50-ლარიანი კუპიურა ამოიღეს. ყალბი კუპიურების თანხამ საერთო ჯამში 1040 ლარი შეადგინა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა ყალბი კუპიურები თბილისში, საკუთარ საცხოვრებელ სახლებში, უცხოური წარმოების ფერადი ლაზერული პრინტერის საშუალებით დაამზადეს. გასაღების მიზნით, ისინი ჩოხატაურის რაიონში ჩავიდნენ, „საკოლმეურნეო ბაზარში“ 2 ტომარა თხილი შეიძინეს და საფასური ყალბი ფულით გადაიხადეს.

პოლიციამ ყალბი ფულის დასამზადებელი ორივე აპარატი ნივთმტკიცებად ამოიღო. დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

ვინ დაიცავს მომხმარებელთა უფლებებს?

მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ამ სფეროში ევროპული სტანდარტების დაკმაყოფილება საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ გზაზე სახელმწიფო კარგა ხანია, ცდილობს ნაბიჯების გადადგმას. მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონპროექტი, რომელიც 2013 წელს მომზადდა, საკანონმდებლო ორგანოს განსახილველ მაგიდაზე ორი წლის თავზე დაიდო.

კანონპროექტი გულისხმობს მომხმარებლის ინფორმირებას, ეს ნიშნავს, პროდუქტზე სახელმწიფო ენაზე იყოს აღნიშნული დასახელება, მწარმოებელი, მახასიათებლები, ვარგისიანობა და სხვა. აქ უნდა იყოს ასევე ინფორმაცია, რომელიც მომხმარებლის უსაფრთხოებას უკავშირდება, ის დატანილი უნდა იყოს პროდუქტის საცალო შეფუთვაზე ან სხვა ფორმით. კანონპროექტის თანახმად, პროდუქტი შეძენისას უნდა აკმაყოფილებდეს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც ხელშეკრულებაშია აღწერილი, ან რისი მოლოდინიც არსებობს რეკლამის, ეტიკეტის და ზეპირსიტყვიერად პროდუქტის გაცნობისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომხმარებელს უფლება აქვს, დაბრუნოს პროდუქტი, მოითხოვოს ნაკლოვანების აღმოფხვრა, პროდუქტის შეცვლა ან ზიანის ანაზღაურება. თუკი პროდუქტის ნაკლი მის საგარანტიო პერიოდშია აღმოჩენილი, მომხმარებელს შეუძლია, უსასყიდლოდ მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა საგარანტიო პერიოდის გასვლის შემდეგაც. მალფუჭებადი და ზოგიერთი სხვა ტიპის პროდუქტის გარდა, მომხმარებელს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დააბრუნოს პროდუქტი 14 დღის განმავლობაში. კანონპროექტი მომხმარებელთა უფლებების დაცვის ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებასაც გულისხმობს.

ცხადია, ეს რეგულაციები უდავოდ აისახება როგორც პროდუქციის ფასში, ასევე მიმწოდებლის დანახარჯებში. შესაბამისად, კანონპროექტის ირგვლივ პოზიციები არაერთგვაროვანია: მომხმარებელთა უფლებების დაცვის აუცილებლობას, ერთი შეხედვით, არავინ აპროტესტებს, თუმცა, ბიზნესის შეფერხების საფრთხეებსაც ხედავენ. მაგალითად, ამ დღეებში გავრცელდა მსხვილ ბიზნესგაერთიანებათა განცხადება, რომლითაც ისინი ეწინააღმდეგებიან პარლამენტში ინიცირებული მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონპროექტის არსებული რედაქციით მიღებას. ისინი მიიჩნევენ, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული წესები დააზიანებს როგორც ბიზნესგარემოს, ასევე მომხმარებლებს. როგორც ბიზნესასოციაციაში აცხადებენ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით უკვე არსებული სხვადასხვა საკანონმდებლო აქტის ფონზე გაუმართლებელია პარალელური წესებისა და ინსტიტუტების შემოღება.

შეგახსენებთ, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონპროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე განიხილა. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, გაიზიარებს თუ არა პარლამენტი ამჯერად ბიზნესის პოზიციას.

ნინო ევგენიძე

◎ იუბილე

ფუნიკულიორი 111 წლისაა



2000-დან 2013 წლამდე თბილისის ფუნიკულიორი არ მუშაობდა, თუმცა, დღეს მან ძველი დიდების დაბრუნება მოახერხა, ის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტურისტებში.

მთაწმინდის პარკში თბილისის ფუნიკულიორის გახსნიდან 111 წლის იუბილე აღნიშნეს.

თბილისის ფუნიკულიორი, რომელიც ბელგიელებმა ააშენეს, 1905 წლის 27 მარტს გაიხსნა. მისი საშუალებით ქალაქი მთაწმინდას სამთო ტრამვაით უკავშირდება.

2000 წლის ზაფხულში ფუნიკულიორის ტრამვაის ბაგირი გაწყდა, შემთხვევას, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია. მომხდარი ფაქტის გამო ფუნიკულიორმა მუშაობა შეწყვიტა.

2013 წლის იანვარში ფუნიკულიორის რეკონსტრუქცია მთლიანად დასრულდა და მან, 13-წლიანი პაუზის შემდეგ, მუშაობა განაახლა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მთაწმინდის პარკმა საქართველოს ეროვნულ არქივთან ერთად გამოფენა გამართა, რომელზეც თბილისის ფუნიკულიორის ისტორიის ამსახველი უნიკალური ვიდეო და ფოტომასალები იყო წარმოდგენილი.

გამოფენას მთაწმინდის პარკში კლუბი „ანდერვილი“ მასპინძლობდა. დღესასწაულის მონაწილეებსა და დედაქალაქის სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ცნობილი ფოტოხელოვანის დიმიტრი ნერმაკოვის 1900 წლამდე გადაღებული ფუნიკულიორის ძველი კადრები ენახათ. გამოფენა გახსნა მთაწმინდის პარკის გენერალურმა დირექტორმა, ბატონმა გელა დიღმელაშვილმა, რომელმაც ისაუბრა იმ ღვაწლზე, რომელიც ცნობილ ბიზნესმენსა და საზოგადო მოღვაწეს, აწგანსვენებულ ბადრი პატარკაციშვილს მიუძღვის ამ ეროვნული პარკის განახლება-აღდგენის საქმეში.

აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ უცხოელი სტუმრები, რომლებიც დატყვევებულნი იყვნენ ულამაზესი ბუნებითა და ფუნიკულიორიდან დანახული დედაქალაქის ხედით.

ადმინისტრაციის განცხადებით კვლავ გაგრძელდება ღონისძიებები ბავშვთა სახლებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის.

ავთანდილ ბექაური.
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.
სურათებზე: თბილისის ფუნიკულიორი საუკუნის წინ და დღეს.

◎ ინტერნეტიდან

ჟასმინ ჯემელი მარადონას იხსენებს

დიეგო მარადონას არაბეთში სამწვრთნელო მოღვაწეობა მრავალი რამითაა დასამახსოვრებელი. გამორჩეულად კი ალბათ მაინც იმით, რომ პუტკუნა არგენტინელმა არად ჩააგდო იქაური შეზღუდულობანი და ლამის კვირაში ერთხელ იცვლიდა საყვარელ ქალს.

ვინ არ წოლილა სენიორ დიეგოს სარეცელში, მუცლის ცეკვის უბადლო შემსრულებლებით დაწყებული და უბრალო მიმტანებით დასრულებული. მარადონამ გული არავის დასწყვიტა და ყველას აზიარა თავისი არგენტინული სიმხნევე და ასაკის შეუსაბამო შესაძლებლობანი. სწორედ ამიტომაც დარჩა ბევრი არაბი ასული მარადონათი გულდათუთქული.

წარმოშობით არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში შობილი, ახლა კი უკვე ევროპაში მოღვაწე ცნობილი არაბი მოდელი ჟასმინ ჯემელი იძახის, მარადონასთან თანაყოფის შესაძლებლობა სულ ერთხელ მომეცა და ამით ძალიანაც ვამაყობ, რადგან დიეგო დიდი ლეგენდაა და თან მთლიანად გაამართლა სექსის ამბებში მასზე გაცემული ავანსებიო. აბა რა ეგონა!

როსტომ რაჭველიშვილი

თავდაცვის სამინისტრო გამწვანების აქციაში მონაწილეობდა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა გამწვანების აქციაში მიიღო მონაწილეობა. ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის ორგანიზებითა და შიდა აუდიტორთა ინიციატივით გამართული ღონისძიება 26 მარტს შიდა აუდიტორთა დღეს მიეძღვნა. აღნიშნული თარიღი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებას უკავშირდება.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ნორიო-მარტყოფი-სართიჭალის ზეგანზე იფნის, ჰიბრიდული თუთისა და ალვის ხის 500 ნერგი დაირგო. გამწვანების აქციის მონაწილეებმა ეროვნული საშენი მეურნეობის ტერიტორიაზე ქარსაფარი ზოლი გააშენეს.

აქციაში სხვადასხვა სამინისტროების, მუნიციპალიტეტებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების შიდა აუდიტის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

◎ ციცხალი ანეკდოტები

— მორჩა, მივდივარ სოფელში, მამის საქმე უნდა განვაგრძო!
— ესე იგი, სმას დაიწყებ?

* * *

— ძვირფასო, რომელია ჩემი სხეულის ყველაზე მიმზიდველი ნაწილი? — ეკითხება ცოლი ქმარს.
— ქვედა ყბა!

* * *

— თავში ხშირად მოგდით ხოლმე აზრი სექსის შესახებ?
— კი არ მომდის, ექიმო, იგი თავში ცხოვრობს.

* * *

თუ ერთ კაცს უცნაურად აცვია, ეს ცუდი გემოვნებაა.
თუ 100 კაცს უცნაურად აცვია, ეს ექსტრავაგანტურობაა.
თუ 1000 კაცს უცნაურად აცვია, ეს მოდაა.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.334; ევრო - 2.786;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.000;
100 რუბლი - 3.182; თურქული ლირა - 0.844;
აზერბაიჯანული მანათი - 1.575;
1000 სომხური დრამი - 5.042

ამინდი 29 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +2,	დღე +7
მთიანი რაიონები -	ღამე -1,	დღე +3
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +5,	დღე +16
მთიანი რაიონები -	ღამე +1,	დღე +10
თბილისი:	ღამე +2,	დღე +7

ჩვენი მისამართია:
თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE